ფასი 1.50 ლარი

week

№ 25 28 ივნისი-4 ივლისი 2014

ყოველკვირეული სპორტული ჟურნალი

პარტნიორი

Step to the Future

1/8 ფინალი		
28.06	ბრაზილია-ჩილე	20:00
28.06	კოლუმბია-ურუგვაი	23:59
29.06	ჰოლანდია-მექსიკა	20:00
29.06	კოსტა რიკა-საბერძნეთი	23:59
30.06	საფრანგეთი-ნიგერია	20:00
30.06	გერმანია-ალჟირი	23:59
01.07	არგენტინა-შვეიცარია	20:00
01.07	ბელგია-აშშ	23:59

ბრაზილიის ნაკრების მაისურა ლელო WEEK-თან ერთად

მაისურის ფასი

18.50 ლარი

ჟურნალთან ერთად

20 ლარი

1 განათავსე ცოცხალი ფსონი

2 თუ ფიქრობ, რომ მოგება ხელიდან გეცლება, დააჭირე CASH-IN

3 გაინაღდე მოგება თამაშის დასრულებამდე

iveriabet.com

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

არსენალი

ინფორმაცია, ნამდვილი მამაკაცებისთვის!



ყოველთვიური ჟურნალი!

იკითხეთ პრესის გამავრცელებლებთან!

ელვა.GE პრესა და წიგნები ადგილზე მიწოდებით, ფასნამატის გარეშე ტელ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge

პალიტრა მედია

ლელო week

გაზეთ ლელოს
მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ლელო week

გამოიცემა
ყოველ შაბათს

მთავარი რედაქტორი
პაატა გელაშვილი

ავტორები
გია ტუხაშვილი
მერაბ მამულაშვილი
კობა ინასარიძე
ვაჟა სიმონიშვილი
ვაჟა დანელია
ირაკლი თავაძე
ბესიკ ჯანგავაძე
ნიკოლოზ ნეფარიძე
გოტფრიდ ლენცი
ლევან ბიბილაშვილი
ლაშა წიკლაური
ტატო ბაციკაძე
გიორგი კაკაბაძე
გია თვალბეიშვილი

ტექნიკური ჯგუფი
მიხეილ ჯაში
დავით შალუტაშვილი

მხატვრული რედაქტორი
ვაჟა სიმონიშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
მანანა დაუშვილი

ფოტო
თამუნა ყულუმბეგაშვილი
გურამ დოლენჯაშვილი

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი:
2 19 60 13; 2 19 60 53.
ელფოსტა: contact@pallitra.ge;
მისამართი: **იოსებიძის, 49.**
ელფოსტა
leloltd@gmail.com (რედაქცია);
lelo@palitra.ge
ინდექსი **66435 INDEX.**
სარეკლამო განყოფილება:
237 78 07; 2 23 80 09
საბანკო რეკვიზიტები:
შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062.
ბანკი „ქართუ“ CRTUGE22
ა\ა GE19CR0120007000043608

კოლორი
დაიბეჭდა სტამბა
კოლორში

რედაქციასთან შეუთანხმებლად
ჟურნალის კუთვნილი
მასალებისა და ფოტოების სხვა
ბეჭდვით და ელექტრონულ
საშუალებებში
გამოქვეყნება აკრძალულია

სარჩევი

4 შვიდდღეული. კვირის მნიშვნელოვანი მოვლენები

6 მუნდიალი 2014. ამერიკული დომინაცია. ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის მიმოხილვა

12 სპეციალისტის აზრით. დიეგო კოშტა დელ ბოსკეს შეცდომა იყო. ინტერვიუ დავით მუჯირთან

18 ფიასკოს შემდეგ. ინგლისის ნაკრები ცვლილებების ზღვარზე

22 PRO and CONTRA. ქართველი სპეციალისტები მუნდიალის შესახებ

24 მე გიშველი, შვილო! გულჩვილი ჯალათის დასტაქარი, რომელმაც სასწაული მოახდინა

26 ფიქრები ოკეანის გაღმიდან. ნაფეხურები პატარა ეზოში. ზინედინ ზიდანი

28 ისტორიიდან. ქართული ფეხბურთის ნატანჯი და დაუფასებელი პატრიარქი. ანდრო ჟორდანია

30 სახიფათო სპორტი. ხუთი ადგილი, სადაც უნდა გაემგზავროთ ადრენალინის გამოსაყოფად

32 სახელები. ვახტანგ ბლაგიძე. ფინალის წინ უნგრელს მუხლები უკანკალებდა

34 თბილისი 2014. სპორტის დედოფალი დაგვემშვიდობა

36 სახალისო

38 სკანვორდი

რა არის

ნინა კვირას, „შვიდდღეული“ რეგიონული პრინციპით დავყავით. ჯერ მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ევროპულ გუნდებზე ვიმსჯელეთ, შემდეგ ამერიკელებზე, აფრიკელებზე და აზიელებზე... მას მერე ბრაზილიის სტადიონებზე სიტუაცია ისე შეიცვალა, რომ ამ პუბლიკაციისთვის რეგიონული პრინციპით დახარისხება არაფრად გამოგვადგება: აფრიკა ჩაიძირა, თითქმის ასეთივე კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა ევროპა.

თავად განსაჯეთ: სხვადასხვა დროს მსოფლიოს ჩემპიონატის ტიტული ხუთ ევროპულ გრანდს მოუპოვებია, რომელთაგან სამი 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს ჯგუფურ ეტაპზე გამოეთიშა - იტალია, ინგლისი და ესპანეთი. ამ ნაკრებებს საქართველოში უამრავი ქომაგი ჰყავს და იოლი წარმოსადგენია მათი მდგომარეობა... კოპა ამერიკას ვუყურეთ? - კითხულობს ერთი. ყველაზე უფერულ ფეხბურთს საბერძნეთი თამაშობს და მაინცდამაინც ამ ნაკრებმა უნდა დაიცვას ევროპის პრესტიჟი?! - კითხულობს მეორე... მათ სხვები ახსენებენ, რომ მუნდიალს ჯერ კიდევ შემორჩა გერმანია, ჰოლანდია, საფრანგეთი, მაგრამ მათი ჯგუფიდან გასვლა მაინც ვერ ხსნის ნახევარი ევროპის დაცემის ფაქტს.

ცუნამი?

მაინც რა მოხდა? რამ განაპირობა იტალიის, ინგლისისა და ესპანეთის ჩაძირვა? ესპანეთი და ინგლისი ატლანტის ოკეანის საანაპიროზეა და იქნებ სამხრეთ ამერიკიდან წამოსულმა ცუნამმა მოუღო ბოლო? თუმცა ცუნამი იტალიამდე ვერ მიაღწევდა, აპენინის ნახევარკუნძული ხომ კარგად დაცულ, ხმელთაშუა ზღვაში მდებარეობს.

მაშ რა მოხდა? - გავიმეოროთ შეკითხვა. შესაძლოა, ცუნამისეულ ვერსისავით აბსურდულად ჩანდეს, მაგრამ არის ერთი მოსაზრება, რომელიც იოლად ხსნის იტალია-ესპანეთი-ინგლისის წარუმატებლობას. ისინი საფეხბურთო ფორტუნამ დასაჯა. რა დააშავეს? მათ ხომ არავისთვის უკბენიათ, არც მსაჯების დახმარებით გაუტანიათ გოლები, უსამართლოდ არავის მოქცევიან... თამაშობდნენ რაციონალურ ფეხბურთს, იცოდნენ რომ მსოფლიოს ჩემპიონატი გრძელი მარათონია და თავიდანვე არ შეასკდნენ მეტოქეებს, ძალებს პლეი ოფისთვის ზოგავდნენ. ესპანეთს ასეთი ფეხბურთი ახასიათებს - ბურთის გორაობით ერთობა და 90 წუთში ბოძებულ ერთ-ორ შანსს კარგად იყენებს. იტალიამ კი მესამე ტურში, ურუგვაისთან მატჩში ფრეზე ითამაშა - არც თვითონ უტევდა მწვავედ (არადა შეუძლია) და არც მოწინააღმდეგეს აძლევდა ამის უფლებას. ხომ გაგიგიათ ავი ძაღლის ამბავი - არც თვითონ შეჭამს და არც სხვას შეაჭმევსო?.. ძაღლობა ასე არ უნდაო, გაბრაზდა ურუგვაელი ლუის სუარესი და იტალიელ კიელინის ერთი გემრიელად უკბინა. ურუგვაიმ კი იტალიას - 1:0.

მოატყუა ერთი, მეორე...

ხვალემ იკითხოს ხვალისაო, - ამ ქართული ანდაზის შემქმნელები ინსტინქტებით კი არა, ცხოვრებისეული კანონზომიერებით ხელმძღვანელობდნენ. ფეხბურთიც ცხოვრების ნაწილია და აქაც მოქმედებს კანონზომიერებები, რომლის დამრღვევებს ფორტუნა ასამართლებს. როცა მოედანზე გადიხარ და იმაზე ფიქრობ, ბურთი არ გავუშვა და დიდი მნიშვნელობა არა აქვს გავიტან თუ არაო, - ეს უკვე დიდი შეცდომაა. ვიდრე

მოედანზე გავალთ, უნდა გავიაზროთ რა არის ფეხბურთი.

ჰო, რა არის ფეხბურთი? ამ კითხვაზე ამომწურავად გვიპასუხა ქართული ფილმის, „ბურთი და მოედნის“ გმირმა: „რა არის ფეხბურთი? - ბურთი, სტადიონი... დაარტყა იამანიძემ, მიიღო კალოევმა, გადასცა მესხს... მესხმა თავისი შესანიშნავი ფინტებით მოატყუა ერთი, მოატყუა მეორე, მოატყუა მესამე, მოატყუა მეოთხე, მეხუთე, მეკარე, დარტყმა - არის!“

ფეხბურთი?

ევროპაში ყველაფერს წინასწარ თვლიან, ბილეთი რამდენიმე თვით ადრე თუ არ აიღე, შესაძლოა, აღარც შეგხვდეს... სამხრეთ ამერიკაში კი ქართული ხასიათის ხალხი დღევანდელი დღით ცხოვრობს, შეუძლიათ ერთ დღეში, ერთ მატჩში მთელი ენერგია ხელფასივით დახარჯონ და არ ფიქრობენ ხვალ როგორ გაიტანენ თავს. იტალიასთან დაწინაურების შემდეგ არც ურუგვაი ჩამდგარა ყრუ დაცვაში, არც კოსტა რიკა, ხოლო მექსიკამ ხორვატიასთან ერთი რომ გაიტანა, მეტოქის დარად კიდევ უფრო გახსნა თამაში და სულ ხუთი გოლი ვიხილეთ. მაყურებელს სწორედ ეს მოსწონს და არა 0:0, როცა კარში დარტყმების გრაფაში 2:2 წერია.

ფორტუნა და სუარესი

და კიდევ ერთი - ფეხბურთი იმიტომაცაა საინტერესო, რომ თეატრისგან განსხვავებით, წინასწარ განსაზღვრული სცენარით არ მიმდინარეობს, არაპროგნოზირებადია. როგორც ჩანს, ფორტუნასაც ამოუცნობი ფეხბურთელები უყვარს: ინგლისთან მატჩში ურუგვაელებს ძალიან ცოტა საგოლე მომენტი შეექმნათ, აქედან ორჯერ საფეხბურთო განგებამ არასტანდარტული ადამიანი, ლუის სუარესი დააჯილდოვა დასარტყმელი პოზიციით და ლუისმაც არ გააწბილა. იმავე სუარესი იტალიასთან მთლად არაპროგნოზირებადი იყო: ორ შემთხვევაში, როცა ყველა მისგან საგოლე პასს ელოდა (ნებისმიერი ევროპელი გადაცემას გააკეთებდა), თავად გადაწყვიტა შეტევის დაგვირგვინება, იტალიელი მცველებიც მოატყუა, მაგრამ გოლებამდე ცოტა დააკლდა. მის კბენაზე ხომ აღარაფერს ვამბობთ, რასაც ტოტალიზატორებში მეტად დიდი კუში ჰქონდა... კარგად შენიშნა გოჩა თანდარაშვილმა: „სულ მეცინება... რა დებილობაა, ფეხბურთელი რომ ხარ, კაცი აგყავს და გეშინია, არ გიკბინოს... რა მწვრთნელის დარიგება და რა პოზიციის შერჩევა? - როგორც ძაღლს, ტიპს ისე ერიდები...“

ვაჟა სიმონიშვილი

ამერიკული

ჩეზარე პრანდელი და როი ჰოჯსონი

მუნდიალი გახურდა, ჯგუფური ეტაპი დასრულდა და პლეიოფის ჯერიც დადგა. როგორც მოსალოდნელი იყო, ტურნირი ამერიკული გუნდების დომინირებით მიმდინარეობს, ევროპელებმა კი, სხვადასხვა მიზეზის გამო, 2014 წლის მუნდიალი აშკარად ჩააგდეს, თუმცა ტიტულის რამდენიმე პრეტენდენტი ბებერ კონტინენტსაც შემორჩა...

ინგლისი

ინგლისის ნაკრებმა გულშემატკივრები კიდევ ერთხელ გაანბილა და მუნდიალზე ასპარეზობა კვლავ ნაადრევად დაასრულა. იტალიასთან წაგებული მატჩის შემდეგ, ბრიტანელები ურუგვაისთანაც დამარცხდნენ და 1/8 ფინალში გასვლის ყველანაირი შანსი დაკარგეს. თითქოს, ინგლისის ამ ნაკრებს ყველაფერი ჰქონდა იმისთვის, რომ წარმატებით ეასპარეზა - კარგი შემადგენლობა, გამოცდილი და ნიჭიერი ფეხბურთელების მშვენიერი ნაზავი, ასევე გამოცდილი და თან ინგლისელი მწვრთნელი, ვინც გუნდს ბოლო ორი წლის განმავლობაში აწყობდა, და წარმატებით ჩატარებული საკვალიფიკაციო ეტაპი, მიუხედავად იმისა, რომ **როი ჰოჯსონის** გუნდი საკმაოდ რთულ შესარჩევ ჯგუფში იყო. შედეგი კი მაინც ძველებურია - ინგლისი გავარდა.

ჰოჯსონმა, იტალიასთან წაგების მიუხედავად, ურუგვაისთან სათამაშოდ იგივე 11 ფეხბურთელი დარაზმა და შედეგიც პირველი მატჩის მსგავსი მიიღო - 1:2. თანაც, შეხვედრის მიმდინარეობაც ანალოგიური იყო - „სამი ლომი" თავიდან აგებდა, შემდეგ **უეინ რუნის** გოლით ბრიტანელებმა ანგარიში გაათანაბრეს, ბოლოს კი მაინც წააგეს.

კუნძულელებმა ძალიან არა-

ინგლისის ნაკრები ჯგუფიდან ვერ გავიდა

დოგინაცია

დამაჯერებელი თამაში აჩვენეს. გუნდს, თითქოს საკუთარი სტილი არ ჰქონდა - საკმაოდ ქაოსურად უტევდა და თავსაც ქაოსურად იცავდა. გოლის მიუხედავად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მუნდიალი ჩააგდო უშუალოდ რუნიმაც, რომლისგანაც ყველა ლიდერობას ითხოვდა. **სტივენ ჯერარდისა** და **ჯორდან ჰენდერსონის** დუეტი, როგორც ჩანს, მხოლოდ **ბრენდან როჯერსის** ხელშია პროდუქტიული. პირველ ორ მატჩში საერთოდ არ უთამაშია **ფრენკ ლემპარდს**, **ჯეკ უილშირმა** კი მხოლოდ ერთხელ, ისიც ცვლილებაზე ითამაშა. სულ რამდენიმე წუთით გავიდა მინდორზე **რიკი ლამბერტი, ადამ ლალანა** კი ორივე შეხვედრაში მეორე ტაიმში გამოჩნდა.

მონდრაგონმა მილას რეკორდი მოხსნა

რა თქმა უნდა, ჰოჯსონს საკმაოდ დიდი არჩევანი ჰქონდა და შეცდომებისგან დაზღვეულიც არავინაა, თუმცა ბრიტანელის მთავარი შეცდომა უფრო ის იყო, რომ პირველი, არც ისე კარგად ჩატარებული შეხვედრის შემდეგ, შემადგენლობა და ტაქტიკა უცვლელი დატოვა.

ნეიმარმა კამერუნთანაც გაიბრწყინა

ბრაზილია

ტურნირის დაწყების წინ ბრაზილია მთავარ ფავორიტად ითვლებოდა. მექსიკასთან ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ ბევრს „სელესაოს“ ფავორიტობაში ეჭვი შეეპარა, თუმცა ბოლო ტურში **ლუიშ ფელიპე სკოლარის** გუნდმა კამერუნი გაანადგურა (4:1) და ჯგუფში პირველი ადგილიც დაიკავა.

კიდევ ერთხელ გაიბრწყინა **ნეიმარმა**, რომელმაც მეორე დუბლი შეასრულა და ჯგუფური ეტაპი 4 გოლით დაასრულა. კამერუნთან გამართული შეხვედრის საუკეთესო ეპიზოდი კი ის მომენტი იყო, რომელიც საბოლოოდ

გოლით არ დასრულდა - ნეიმარმა, **ოსკარმა** და **პაულინიომ** საოცარი კომბინაცია გაითამაშეს, რომლის შედეგადაც დასარტყმელ პოზიციაზე დარჩა **ჰალკი**, ამან კი ახლო მანძილიდან ვერ გაიტანა და მუნდიალმა ერთ-ერთი საუკეთესო გოლი დაკარგა.

მექსიკასთან ფრედ დასრულებულ შეხვედრას კი დიდი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ, რადგან „აცტეკები" ბრაზილიასთან ყოველთვის კარგად თამაშობდნენ. თავად განსაჯეთ: XXI საუკუნეში ეს გუნდები ერთმანეთს მეთოთხმეტედ შეხვდნენ და უპირატესობა მექსიკის მხარესაა - 7 მოგება, ბრაზილიას კი - მხოლოდ 4. რთულია, იპოვო კიდევ სხვა ნაკრები, რომელსაც „სელეساოსთან" 2000 წლის შემდეგ გამართულ შეხვედრებში ასეთი უპირატესობა ექნება.

მასპინძლებს 1/8 ფინალში ჩილეს ნაკრები ელით, რომელიც ძალიან კარგი გუნდი კია, მაგრამ ბრაზილია ისეთივე უხერხული მეტოქეა ჩილესთვის, როგორიც მექსიკაა - ბრაზილიისთვის. მეტიც - ჩილემ ჯგუფური ეტაპი ისტორიაში სულ მეოთხედ გადალახა და წინა სამ შემთხვევაში (1962, 1998, 2006) ტურნირს სწორედ ბრაზილიასთან პლეიოფის შემდეგ გამოეთიშა...

დაღლილი ევროპელები

რამდენიმე ძლიერი ნაკრები აშკარად გადაიღალა. საოცარი სანახავი იყო ნიგერიისა და ბოსნიის დაპირისპირების მეორე ტაიმი - ბალკანელებს სირბილი კი არა, სიარული უჭირდათ. მოთამაშეები მოედანზე ისე გადაადგილდებოდნენ, თითქოს ფეხებზე სიმძიმეები ჰქონდათ მიბმული.

მართალია, ამ შეხვედრაში არბიტრმა ბოსნიელები აშკარად დაჩაგრა, როდესაც **ედინ ჯეკოს** წესების დაცვით გატანილი გოლი არარსებული თამაშგარის მოტივით გააუქმა და საპირისპიროდ კი ნიგერიელთა მიერ საეჭვო სიტუაციაში გატანილი ბურთი ჩათვალა, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ბოსნიელთა ფიზიკური მომზადება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. მიუხედავად ამისა, ჯეკოს ბოლო წამებზე ანგარიშის გათანაბრების შანსი ჰქონდა, მაგრამ მისი დარტყმის შემდეგ ბურთი ჯერ **ენიეამამ** მოიგერია, შემდეგ კი - ძელმა. საბოლოოდ, ნიგერიამ 1:0 მოიგო და ბოსნია, მოულოდნელად, ჯგუფში ჩარჩა.

გამოფიტული იტალიელები

ასევე გადაღლილი ჩანდა ხორვატია, რომელიც გადამწყვეტ შეხვედრაში მექსიკას 75 წუთი ეჭიდავა, შემდეგ კი სამი გოლი გაუშვა და მხოლოდ ის მოახერხა, რომ ბოლო წუთებზე პრესტიჟის გოლი გაიტანა.

თვალშისაცემია ისიც, რომ ჩვენი დროით 20 საათზე გამართული მატჩებისას ფეხბურთელებს ნორმალურ ტემპში თამაში უჭირთ, რაც გასაკვირი სულაც არაა - მართალია, ბრაზილიაში ახლა ზამთარია, მაგრამ ამ ქვეყნის დიდ ნაწილში, სეზონის ცვლა ტემპერატურას დიდად არ ეტყობა. შესაბამისად, ადგილობრივი დროით პირველ საათზე, როცა მატჩები იწყება, ძალიან ცხელა, რაც მოთამაშეთა მდგომარეობაზე ადეკვატურად აისახება.

იგივე ითქმის იტალიის ნაკრებზეც - ურუგვაისთან გადამწყვეტი შეხვედრის ბოლო წუთებზე, როდესაც აპენინელებს გოლი სჭირდებოდათ, გუნდის რამდენიმე ლიდერს მოედანზე გადაადგილება უჭირდა. ფაქტია, სათამაშო დღის პირველი თამაშების დროს ძალიან ცხელა და ჩახუთული ჰაერის გამო, უკვე არაერთმა მოთამაშემ, მწვრთნელმა თუ ჟურნალისტმა დაიწუწუნა.

მსაჯობა

მსაჯის შეცდომაზე ბოსნია-ნიგერიის შეხვედრის დროსაც ვისაუბრეთ. საბედნიეროდ, მეორე ტურში არბიტრებს იმდენი და ისეთი მნიშვნელოვანი შეცდომები აღარ დაუშვიათ, როგორც პირველ ტურში, მაგრამ უზუსტობები მაინც იყო.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ფიფას წესი, რომლის მიხედვითაც, მსოფლიოს ჩემპიონატზე მსაჯები ყველა კონფედერაციიდან უნდა იყვნენ, აშკარად არ ამართლებს. თვალსაჩინოა სხვაობა ევროპელ თუ სამხრეთამერიკელ და აფრიკელ/აზიელ არბიტრებს შორის, რაც გასაკვირი ნამდვილად არ არის.

ბოსნია-ნიგერიის შეხვედრის მთავარი მსაჯი **პიტერ ოლირი** ახალზელანდიელია, ისევე, როგორც მისი ასისტენტები. დამეთანხმებით, რომ შეუძლებელია არბიტრმა, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში ახალი ზელანდიის თუ ავსტრალიის ჩემპიონატში მსაჯობს, მუნდიალის სისწრაფეებს ალღო უცბად აუღოს და შეცდომა არ დაუშვას. იგივე ოლირი, აქამდე მხოლოდ ზელანდია-ავსტრალიის ჩემპიონატებსა და ოკეანეთის ჩემპიონთა ლიგაში საქმიანობდა, სადაც, მართალია, ფინალში იმსაჯა, მაგრამ სად ზელანდიური დერბის (უაითეკერი-ოკლენდი) განსჯა და სად - მუნდიალის მნიშვნელოვანი შეხვედრის?!

მოკლედ, ფიფას ეს წესი აშკარად შესაცვლელია და რაც უფრო მალე მიხვდებიან ამას მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ორგანოში, მით უკეთესი... თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ამ ორგანიზაციაში ეს ყველაფერი ისედაც ძალიან კარგად იციან - ბოლო წლებში მომხდარი უამრავი კორუფციული თუ სხვა სახის სკანდალის შემდეგ, ფიფასგან გასაკვირი უკვე აღარაფერია.

რამდენიმე მასპინძელი

ჯგუფურ ეტაპზე გამოჩნდა, რომ კონტინენტურ კუთვნილებას მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს. სამხრეთ, ცენტრალური და ჩრდილოეთ ამერიკის გუნდები ბრაზილიურ მოედნებზე თავს უფრო კარგად გრძნობენ, ვიდრე სხვა კონტინენტის წარმომადგენლები.

ძალიან მნიშვნელოვანია გულშემატკივრების ფაქტორიც. მაგალითად, იმავე მექსიკამ ხორვატიასთან გადამწყვეტ შეხვედრაში, ფაქტობრივად, შინ ითამაშა - ტრიბუნები მათი ქომაგებით იყო გადაჭედილი და ფეხბურთში არც ისე კარგად ჩახედული ადამიანი იფიქრებდა, რომ მატჩი არა ბრაზილიაში, არამედ მექსიკაში იმართებოდა.

იგივე შეიძლება ითქვას კოლუმბიის, არგენტინის, ჩილესა და ეკვადორის ნაკრებებზეც - ყველა შეხვედრაში ტრიბუნები ამ გუნდების ქომაგებით იყო გადაჭედილი, ეს კი, რა თქმა უნდა, უდიდესი უპირატესობაა.

სიომ დაუბერა, სამარისმა და სამარასმა კი კოტ დივუარი დაასამარეს

საბერძნეთის ნაკრები ჯგუფიდან თავის სტილში, დრამატული ბრძოლით გავიდა და 1/8 ფინალში მეტოქედ კოსტა რიკა ერგო. მართალია, კოსტა რიკამ სამივე შეხვედრაში ძალიან ძლიერი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ბერძნები თავს ძალიან იღბლიანებად თვლიან და იტალიასთან ან ურუგვაისთან შეხვედრას, ისევ კოსტა რიკა ერჩივნათ.

კოტ დივუართან გამართული გადამწყვეტი შეხვედრის გმირი **გეორგიოს სამარასი** გახდა, რომელმაც ჯერ თითქმის მოგვარე **ანდრეს სამარისს** გაატანინა, უკანასკნელ წამებზე კი 11-მეტრიანი მოიპოვა, რომელიც თავადვე შეასრულა და საკუთარი გუნდი მომდევნო ეტაპზე გაიყვანა. ანტიგმირად კი **ჯოვანი სიო** იქცა, ვინც ბურთზე თამაში სცადა, მაგრამ სამარასის ფეხს გამოედო და კოტ დივუარის ნაკრები დაღუპა.

მონდრაგონმა მილას რეკორდი მოხსნა

აქამდე, ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი, რომელსაც მუნდიალზე ჰქონდა ნათამაშები **როჟე**

სამარასმა კოტდივუარელები დაასამარა

ლიონელ მესი ბომბარდირობისთვისაც იბრძვის

მესი

ლიონელ მესიმ ჯგუფური ეტაპის სამივე შეხვედრაში გაიტანა და საკუთარი ნაკრების რეკორდი დაამყარა - ის პირველი არგენტინელია, ვინც თავი ჯგუფური ეტაპის სამივე შეხვედრაში გამოიჩინა. „ბარსელონას" 10-ანმა ირანთან უკანასკნელ წამებზე ულამაზესი დარტყმით შეაგდო. ნიგერიასთან შეხვედრაში კი ლეომ ჯერ დამატებაზე ივარგა, მოგვიანებით კი ასევე ძალიან ლამაზი საჯარიმო დარტმით გაიტანა.

მიუხედავად სამივე შეხვედრის მოგებისა, არგენტინელთა პრობლემები მაინც თვალსაჩინოა - უამრავი შეცდომა დაცვაში; ნახევარდაცვის ხაზის პერიოდული ჩავარდნები, რაც მეტოქეების (ირანი, ნიგერია) სახიფათო კონტრშეტევებს იწვევს; ფორმაში არ არიან **გონსალო იგუაინი** და **სერხიო აგუერო**, თანაც ამ უკანასკნელმა, ყველაფერთან ერთად, მორიგი ტრავმა მიიღო.

არგენტინელთა რეალური სახე ძლიერ და დალაგებულ გუნდებთან უფრო გამოჩნდება. 1/8 ფინალში „ალბისელესტეს" შვეიცარიის საკმაოდ კარგი ნაკრები ელის, რომელიც ხელწამოსაკრავი მეტოქე ნამდვილად არაა.

ტატო ბაციკაძე

მილა იყო - კამერუნელმა ეს რეკორდი 1994 წლის ჩემპიონატზე დაამყარა. ამასთან, მილა ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელია, ვისაც მსოფლიოს ჩემპიონატზე გოლი გაუტანა (იმავე 1994 წელს, რუსეთის კარში).

იაპონია-კოლუმბიის შეხვედრის შემდეგ კი კამერუნელს მხოლოდ ერთი რეკორდი დარჩა, ყველაზე ხნიერი მოთამაშე კი ცვლილებაზე შესული, 43 წლის მეკარე **ფარიდ მონდრაგონი** გახდა. ვეტერანმა კარის დარაჯმა **დავიდ ოსპინა** 85-ე წუთზე შეცვალა და შეხვედრის დასრულებამდე ერთი, საკმაოდ რთული ბურთის მოგერიებაც მოახერხა.

კლოზე

მონდრაგონის მიღწევაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, **მიროსლავ კლოზეს** გოლი იყო. ვეტერანმა გერმანელმა მუნდიალებზე თავისი მე-15 ბურთი გაიტანა და ბრაზილიელ **რონალდოს** წამოეწია. **პელესა** და **უვე ზეელერის** შემდეგ, კლოზე მესამე ფეხბურთელია, რომელმაც გოლის გატანა ოთხ (2002, 2006, 2010, 2014) ჩემპიონატზე შეძლო.

მიროსლავ კლოზეს ერთი ასეთი მალაყიც სჭირდება

OPEN AIR

მსოფლიო ჩემპიონატის საგულშემატკივრო
სივრცე მთაწმინდის პარკში ყინულის მოედანზე

ყველაზე დიდი მონიტორი, ყველაზე მაგარი ლუდი და
ყველაზე საფეხბურთო განწყობა თბილისში!

12 ივნისიდან Brasil 2014

ბილეთები იყიდება მთაწმინდის პარკის სალაროში.
ღირებულება - 10 ლარი.
ფასში გათვალისწინებულია ორმხრივი მგზავრობა
ფუნიკულიორით.

ეისიდ ბრაზილია 2014 – ACID BRAZIL 2014

მთაწმინდის ფუნიკული Since 1905

ტელ: 032 242 0880 / 570 904093

Acid GROUP

სპეციალისტის აზრით...

დავით მუჯირი

დიეგო კოშტა დელ ბოსკეს შეცდომა იყო

ბრაზილიაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატმა უკვე მოისაკლისა მოქმედი ჩემპიონი ესპანეთი. ჩემოდნებს ალაგებს ინგლისის ნაკრებიც. არ გვაკლია აღმოჩენები, ახალი ტაქტიკური სქემები და თანდათან მძაფრდება ინტრიგა.

ბრაზილიურ ბატალიებზე დავით მუჯირი-უმცროსი გვესაუბრება. პროფესიით ჟურნალისტი, ახლო წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, ვინც უკვე მოსინჯა ძალა სამწვრთნელო ასპარეზზე და ვისაც მუდამ კარგად გამოსდის დიდი საფეხბურთო მოვლენების ანალიზი...

- პირველი შთაბეჭდილებები მხოლოდ და მხოლოდ დადებითია, - ამბობს მუჯირი, - ვნახეთ ბევრი გოლი, მატჩების უმრავლესობა სანახაობრივი იყო. კარგ ხასიათზე ვერაფრით იქნებიან ესპანეთისა და ინგლისის ნაკრებთა გულშემატკივრები... ჩემი აზრით, მომავალში ინტრიგა კიდევ უფრო გამძაფრდება. მეტიც, ნამდვილი ჩემპიონატი, ალბათ, სწორედ ახლა იწყება. ავიღოთ თუნდაც ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩები ან პლეი-ოფი. ამას რომ ვამბობ, არც ის მავიწყდება, რომ ვნახეთ რამდენიმე არაფრისმომცემი მატჩიც, როგორც სანახაობის, ისე ტაქტიკური ბრძოლის თვალსაზრისით, მაგრამ ესეც გარდაუვალია, როცა ამხელა საფეხბურთო ფორუმთან გვაქვს საქმე.

- რა საერთო ტენდენციით ხასიათდება ბრაზილიური მუნდიალი?

- თვალშისაცემია სამხრეთამერიკული გუნდების კარგი თამაში. ამ ეტაპზე, მხოლოდ ეკვადორის საქმეა ცუდად. ბრაზილიისგან პირადად მე მეტს ველი, მაგრამ გუნდი მაინც მიიწევს წინ. არგენტინამაც ცოტა მძიმედ დაიწყო, მაგრამ ორივე ეს ნაკრები მაინც ფავორიტია ჩემთვის. კოლუმბია უკვე გავიდა მერვედფინალში, რაც წარმატებაა ამ ახალგაზრდული გუნდისთვის. ჩილემ რაც ჰქნა, ყველამ ვნახეთ. ურუგვაის ჰყავს სუარესი. ტაქტიკურ ნიუანსებს ამ კითხვაში არ ჩავუღრმავდები.

- სწორედ ტაქტიკაზე უნდა გკითხოთ. მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაზე კარგად ჩანს, საით მივდივართ ამ კუთხით...

ვისენტე დელ ბოსკე და დიეგო კოშტა

- ჩემი აზრით, არ არის ერთი გამოკვეთილი სქემა, რომელიც დომინანტია ამ ტურნირზე. ყველაზე ხშირად გვხვდება 4-3-3, ასევე 4-4-2 ტაქტიკური განლაგებები. ერთი რამ თვალსაჩინოა: ძალიან ბევრი მწვრთნელი ტაქტიკურ სქემას მეტოქის გათვალისწინებით ირჩევს. ერთიც - ჯგუფური ეტაპის პირველ ორ ტურში ბევრი გუნდის მწვრთნელი ძალიან ფრთხილობდა სათამაშო სტრატეგიის არჩევისას, თუმცა, ამ ფრთხილ თამაშებშიც კი, გოლები მაინც გადის და ეს კარგია - ნეიტრალური ქომაგისთვის ფეხბურთში მთავარი ხომ გოლია.

- ფაქტია, რომ თვით გამოკვეთილი აუტსაიდერებიც კი ერიდებიან მთელი შეხვედრის საკუთარ ნახევარზე გატარებას. არადა, თუნდაც წინა მუნდიალზე ასე არ იყო...

- სწორად შეგინიშნავთ. ეს მართლაც ასეა. გვქონდა მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისი. ბოლო იყო საბერძნეთის ნაკრები იაპონიასთან. ბერძნები საერთოდ ასე თამაშობენ, თუმცა მათთვის კაცი რომ არ გაეგდოთ, შეიძლება, სხვა სცენარი ყოფილიყო. ყველაზე მეტად, რუსეთის ნაკრების ცუდმა თამაშმა გამაკვირვა. ყველამ ვიცით ფაბიო კაპელოს სტილი, მაგრამ ამ გუნდისგან მაინც მეტს ველოდი. ახლოს ვიცნობ რუსეთის ნაკრების ფეხბურთელთა უმრავლესობას და ვიცი, რომ მათ მეტი შეუძლიათ. თანაც, კაპელოს გუნდს, კორეის სახით, ნამდვილად არ ჰყოლია უძლიერესი მოწინააღმდეგე.

- ცალკე უნდა გკითხოთ ესპანეთისა და ინგლისის ნაკრებების ფიასკოზე. რისი ბრალი იყო ეს?

- ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდება ხოლმე. ჩემი მხრიდან, ამხელა მწვრთნელების გაკრიტიკება არ მგონია მართებული. მხოლოდ საკუთარ აზრს გამოვთქვამ. ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ აქცენტი გააკეთა დიეგო კოშტაზე. ის კარგი თავდამსხმელია, მაგრამ აშკარად არაა ფორმაში. ეს არცაა გასაკვირი, რადგან სეზონის ბოლოს მას მუდამ თან სდევდა ტრავმები და ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც მხოლოდ ხუთი წუთი ითამაშა. ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, დელ ბოსკე სხვა ფორვარდს დაყრდნობოდა ან გამოკვეთილი თავდამსხმელის გარეშე ეთამაშა, რაც დიდ ტურნირებზე უცხო სულაც არ არის ესპანეთის ნაკრებისთვის. აქვე უნდა ვთქვა, რომ „ფურია როხას" კალენდარში არ გაუმართლა - დაიწყო ჰოლანდიასთან და გააგრძელა ჩილეთი. ავსტრალია რომ ჰყოლოდა ორიდან ერთ მეტოქედ, საქმე სხვანაირად იქნებოდა, თუმცა ეს თავის გასამართლებელი მიზეზი არ არის. ინგლისმა ნორმალურად დაიწყო იტალიასთან, მაგრამ დამარცხდა. მერე კი ლუის სუარესმა პირადად მოიგო ის თამაში. არ დავმალავ, მეტს ველოდი ინგლისის ნაკრებისგან. პოზიტივად მხოლოდ ის თუ აღიქმება, რომ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა. მაგალითად, როს ბარკლი. ინგლისელებმა ვერ გამოიყენეს მათი მთავარი კოზირი - ფლანგები. იყო პრობლემები დაცვაში.

- ტურნირის აღმოჩენად ამ ეტაპზე რომელ ნაკრებებს მიიჩნევთ?

- მხოლოდ ორს დავასახელებ.

კოსტა რიკამ იტალიას რუისის გოლით მოუგო

პირველი ჩილეა. ამ გუნდის ორივე თამაშმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ძლიერი გუნდია, უზომოდ დისციპლინირებული, ეტყობა კარგი მწვრთნელის ხელი და ტრიბუნებს რომ ვუყურებ, მგონია, შინ თამაშობს. რაც კოსტა რიკამ ჰქნა, ეს ნამდვილი სასწაულია. ამას მართლა ვერავინ წარმოიდგენდა. ჩემი კომპლიმენტები ამ გუნდს.

- მსაჯობა როგორია?

- ბოლო მატჩებში აშკარად უკეთესია, ვიდრე თავიდან, მაგრამ ჯობია, ორივემ სამჯერ დავაკაკუნოთ ხეზე - მთავარი მატჩები ხომ ჯერ კიდევ წინაა (იცინის).

- ფეხბურთში პროგნოზების გაკეთება უმადური საქმეა, მაგრამ მაინც უნდა გთხოვოთ ფავორიტების დასახელება...

- ჯერჯერობით, ყველაზე კარგი გერმანიაა (ინტერვიუ განასთან მატჩამდეა ჩაწერილი - რედ). უნაკლო ფეხბურთი - მოკლედ ასე დავახასიათებდი მათ გარჯას. ეს იმის მიუხედავად, რომ პორტუგალია მოსალოდნელზე სუსტად გამოიყურებოდა. ბრაზილია და არგენტინა, როგორც უნდა თამაშობდნენ ისინი წინასწარ ეტაპზე, ჩემთვის მუდმივი ფავორიტები არიან. გამორჩეულთა კატეგორიას მივაკუთვნებ ასევე იტალიის ნაკრებს, მაგრამ აშკარად ჩაუვარდა შეხვედრა კოსტა-რიკასთან.

- ყველაზე მეტად რომელი ეპიზოდები დაგამახსოვრდათ აქამდე მომხდართაგან?

- რობინ ვან პერსის გოლი და ლუის სუარესი ინგლისთან მატჩში. ურუგვაელი უბრალოდ შეუდარებელი იყო.

ალეკო კაკაურიძე

მე თმა "ჭიაღლოვინში" გაღოვინერგე

HAIRLINE INTERNATIONAL
თმის გადანერგვის კლინიკა
HAIR TRANSPLANTATION CENTRE

2 30 00 30 www.hairline.ge

MUSTAFI
21



ფიასკო

სტივენ ჯერარდი

ცვლ

ინგლისის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე უდიდესი სირცხვილი ჭამა. სხვას ვერაფერს ვუწოდებთ, როცა სამხრეთ ამერიკაში ტრადიციულად დიდი ამბიციებით გამგზავრებულმა გუნდმა, პირველად 56 წლის განმავლობაში, მუნდიალზე ჯგუფური ეტაპიც კი ვერ დაძლია. „სამმა ლომმა" პირველი ორი მატჩის შემდეგ შეწყვიტა ბრძოლა და თანაც ისე, რომ რეალურად ეს ბრძოლა არც დაუწყია.

ინგლისის ნაკრებს ამ ზაფხულს დიდი ცვლილებები ელის. „დეილი მეილი" ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე წერდა, რომ მიუხედავად შედეგებისა, ტურნირის დასრულების შემდეგ ეროვნულ გუნდს გამოეთხოვებოდნენ სუპერვარსკვლავები - **სტივენ ჯერარდი** და **ფრენკ ლემპარდი**, ფეხბურთელები, ვისთანაც ასოცირდებოდა კუნძულელთა ნაკრები უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში.

„ამ ეტაპზე გადაწყვეტილების მიღების არც დროა და არც ადგილი. კოსტა-რიკასთან მატჩის შემდეგ ლონდონში დავბრუნდები და ამ თემაზე ფიქრს მხოლოდ ამის მერე დავიწყებ. ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს ასაწონ-დასაწონი", - ამბობს ჩელსის 35 წლის ლეგენდა.

ანალოგიურ პოზიციაზეა სტივენ ჯერარდიც, ვისაც რიო დე ჟანეიროში გამართულ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე დაუსვეს კითხვა მის მომავალზე:

„ჩემს სანაკრებო პერსპექტივაზე გაზეთებში უამრავი რამ დაიწერა, თუმცა არცერთი მათგანი სიმართლეს არ შეესაბამება. დღეს და ხვალ ამ თემაზე განმარტებებს ნუ მომთხოვთ, რადგან საბოლოო გადაწყვეტილებისთვის დრო მჭირდება. რამდენიმე დღის წინ როი ჰოჯსონს უკვე ველაპარაკე და ვთხოვე, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გადაეწყვიტა, ვჭირდებოდი თუ არა სამომავლოდაც. მოვლენათა დაჩქარებას არ ვგეგმავ, რადგან არ ვარ დარწმუნებული, რომ ახლა ამისთვის შესაფერისი გარემოა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შვებულებაში გასვლასა და გეგმების ჩამოყალიბებას ვაპირებ. გარკვეული პაუზის შემდეგ ამ ყველაფერზე მე და ჩემი მენეჯერი კიდევ ერთხელ დავილაპარაკებთ. იქამდე კი იმ ადამიანების მოსმენა მინდა, ვისი აზრიც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ეტაპზე ინგლისის ნაკრების ფეხბურთელობა ძალიან რთულია, რადგან თითოეული ჩვენგანი იმედგაცრუებულია - მთლიანად გუნდითაც და საკუთარი თავითაც. მინდა, გულშემატკივრებს მადლობა გადავუხადო იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოყოლებული ვგრძნობდით. წარუმატებლობების გამო, ფეხბურთელები სრულ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებთ. შესაძლოა, არსებობდეს ვინმე, ვისთვისაც უფრო კომფორტულია გარშემომყოფთა დადანაშაულება, თუმცა მე, როგორც გუნდის კაპიტანი და ლიდერი, ვაცხადებ, რომ პასუხისმგებლობას არსად გავურბივართ. არავის მივცემთ უფლებას, რომ ჩვენი მწვრთნელის ან მისი შტაბის წევრებისკენ გაიშვიროს ხელი. რეალობა მძიმე აღსაქმელია, მაგრამ სამომავლოდ წინსვლა აუცილებელია".

პატრიოტიზმის კრიზისი

BBC-ის რადიოეთერში „ქუინზ პარკის" დღევანდელმა და „ტოტენჰემის" ყოფილმა მწვრთნელმა **ჰარი რედნაპმა** სკანდალური განცხადება გააკეთა: გაეცნობით თუ არა ავტორიტეტული სპეციალ-

შემდეგ

ჯიდი ილეგეგ გის ზღვარზე

უეინ რუნის მძიმე ყოფა

ლისტის სიტყვებს, დარწმუნებულნი ვართ, უმალ დაგვეთანხმებით, რომ ჩვენი შეფასება გადაჭარბებული არ არის. რედნაპის თქმით, მას არა ერთხელ და ორჯერ ჰქონია შემთხვევა, როცა მის ფეხბურთელებს, უბრალოდ, ეზარებოდათ ეროვნულ ნაკრებში წასვლა. აი, რას ამბობს 67 წლის მწვრთნელი:

„ტოტენჰემში“ მუშაობისას, როცა კი სანაკრებო თამაშები ახლოვდებოდა, აუცილებლად გამოჩნდებოდა ხოლმე ისეთი მოთამაშე, რომელსაც შეკრებაზე წასვლა და თამაშის პერსპექტივა აღიზიანებდა. ისინი მოდიოდნენ ჩემთან ათი დღით ადრე და მეხვეწებოდნენ - ჰარი, გვიშველე რამე, რომ ნაკრების თამაშებს თავი ავარიდოთო. მე ყოველთვის ვპასუხობდი, რომ ამას არასოდეს ვიზამდი და ისინი ვალდებულნი იყვნენ, სამშობლოს ღირსება დაეცვათ. ფეხბურთელები უარის მიზეზს იოლად პოულობდნენ, მაგალითად იმას, რომ მეგობარ გოგონას უნდა ემშობიარა და მას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებოდა. ზოგი ყველაფერს გულწრფელადაც კი მეუბნებოდა. მათი პოზიცია მუდამ მაოცებდა. სიმართლე გითხრათ, მგონია, რომ მომავალში კიდევ უარესს უნდა ველოდოთ. ინგლისში ფეხბურთელებს ფანტასტიკურ ხელფასებს უხდიან, ისინი თამაშობენ ჩემპიონთა ლიგაში და ვერ ხვდებიან, რაში სჭირდებათ დამატებითი თავის ტკივილი. არადა, ღირსეული შემადგენლობა გვყავს, რომელიც ერთი კვალიფიციური მწვრთნელისგან მეორის ხელში გადადის, თუმცა შედეგი არა და არ ჩანს“.

კაპიტანი გვარებს ითხოვს

„ტოტენჰემის“ ყოფილი მოთამაშეების ჩამოთვლა, რომელთაც რედნაპის ნათქვამი შეიძლება შეეხოთ, საკმაოდ ვრცელია და მათ ჩამოთვლას არ დავიწყებთ. ბრაზილიაში მყოფმა ინგლისელმა ჟურნალისტებმა ჯერარდისა და ჰოჯსონისგან რედნაპის სიტყვების კომენტარი მოითხოვეს. ერთმაც და მეორემაც კატეგორიულად გამორიცხა, რომ ინგლისის ნაკრების ამჟამინდელ შემადგენლობაში ასეთი ფეხბურთელები ირიცხებოდნენ. ჰოჯსონი ამბობს:

„როცა მსგავს განცხადებას აკეთებ, მაშინ მეტი დამაჯერებლობისთვის კონკრეტული ფეხბურთელების ვინაობაც უნდა დაასახელო. შემიძლია ჩამოგითვალოთ მოთამაშეები, რომელთაც მართლა შეიძლებოდა ჰქონოდათ ნაკრებში თამაშზე უარის საპატიო მიზეზი, მაგრამ ახლა ჩვენთან არიან. ჩემი აზრით, უსამართლობაა, როცა რაღაც ცუდი ხდება და ამაზე ლაპარაკს თვეების კი არა, წლების მერე იწყებ. უკვე ორი წელია ეროვნული გუნდის თავკაცი ვარ და მხოლოდ მოტივირებულ ფეხბურთელებს ვხედავ. ამიტომაც ვაცხადებ, რომ რედნაპის სიტყვებმა გულწრფელად გამაოცა“.

„სიტყვები სიტყვებია... ისინი, ვისაც ნაკრებში თამაში არ სურდა... და კონკრეტულად ვინ უნდა ვიგულისხმოთ? დაგვისახელეთ გვარები, რადგან წარმოდგენა არ მაქვს, ვის შეიძლება გულისხმობდეს მისტერ რედნაპი. ეს ხუთი წლის წინ ხდებოდა? ათის? თუკი ეს სიმართლეა, მაშინ გულისამრევია. მე ამჟამინდელ გუნდზე შემიძლია ვთქვა, რომ მსგავსი დამოკიდებულება გამორიცხულია, რადგან ჩემს არც ერთ თანაგუნდელს შინ დროზე ადრე დაბრუნება არ სურდა. შემიძლია გითხრათ, რომ ველაპარაკე ერთ-ერთ ყოფილ ტოტენჰემელს, ეინც რედნაპის სიტყვების გამო თავს შეურაცხყოფილად გრძნობს“.

ლევან ბიბილაშვილი

როი ჰოჯსონი

ბრაზილია

წინა რიგში (მარცხნიდან): ოსკარი, დანი ალვეში, ნეიმარი, პაულინიო, მარსელო, ჰალკი;
უკანა რიგში: დავიდ ლუიზი, ჟულიო სეზარი, ფრედი, ტიაგო სილვა, ლუის გუსტავო.

week
BRAZIL

კობა ჟორჟიკაშვილი

გელა სანაია

მუნდიალის მთავარი იმედგაცრუება:

ესპანეთი თუ იტალია?

ბრაზილიური მუნდიალი ლოგიკას არ ცნობს. ფაქტია: ჯგუფური ბარიერი ვერ დაძლიეს ევროპის გასული ჩემპიონატის გამარჯვებულმა და ფინალისტმა - ესპანეთმა და იტალიამ. პლეი-ოფის სტადიაზე ვერ გააღწია ერთ-ერთმა მუდმივმა ფავორიტმა ინგლისმა...
მაინც, რომელი ნაკრები შეგვიძლია შევრაცხოთ ბრაზილიის მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარ იმედგაცრუებად? ჩვენი რუბრიკის სტუმრები არიან ქართველი მწვრთნელები - კობა ჟორჟიკაშვილი და გელა სანაია.

კობა ჟორჟიკაშვილი

დელ ბოსკე არ არის მწვრთნელი ახალი იდეებით!

- ესპანეთის ნაკრების მოსალოდნელ ფიასკოს ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ვპროგნოზირებდი. პატარა საიდუმლოსაც გაგიმხელთ - მოვიგე სანაძლეო, ორი ბოთლი ლუდი (იცინის). არავის სჯეროდა, როცა ვამბობდი - ესპანეთი ჯგუფში ჩარჩება-მეთქი.

- რა გაძლევდათ ასეთი თამამი პროგნოზის გაკეთების საფუძველს?

- ჩემთვის ესპანეთი მუნდიალის მთავარი იმედგაცრუებაა. ამიტომ ვსაუბრობ მასზე და არა იტალიაზე - ეს ხომ ერთი ეპოქის დასასრულია. ამის მიუხედავად, მართლა ველოდი მოვლენათა ასეთ განვითარებას. შევეცდები, თანმიმდევრობით ავხსნა. 1) ესპანეთმა მოიგო ყველა შესაძლო ტიტული. დაიკარგა მოტივაცია, რომლის გარეშეც დღეს დიდ წარმატებას ვერ მიაღწევ. ადამიანის ბუნებაა: როცა შოულობ დიდ ფულს, როცა იგებ ყველაფერს, რაღაც მომენტში გწყინდება ჯოჯოხეთური შრომა. გინდა დაისვენო, გაერთო, ის ფული დახარჯო, რომელიც შრომით იშოვე; 2) მომქანცველი სეზონი. „რეალმა" მოიგო ლიგა, „ატლეტიკო" იყო ფინალში. სეზონი 25 მაისს დაასრულეს. ფაქტობრივად, არც დაუსვენიათ, ისე ჩაებნენ დიდ ტურნირში; 3) დიეგო კოშტამ ვერ გაამართლა. ბრაზილიაში ბრაზილიელის თამაში სხვა ნაკრებში, ეს ხომ პრაქტიკულად წარმოუდგენელია?! კოშტამ ვერ გაუძლო უდიდეს წნეხს; 4) მწვრთნელი. ვისენტე დელ ბოსკე არ არის ახალი იდეების მატარებელი სპეციალისტი. მან, ისევე, როგორც ლუიშ ფელიპე სკოლარიმ, იცის, როგორ ათამაშოს ვარსკვლავური გუნდი, მაგრამ არ იცის, როგორ შექმნას ის. დელ ბოსკეს არაფერი გამოუგონია. მან მოახდინა იოჰან კრუიფის იდეების გადატანა მინდორზე და ზუსტად გადაიტანა „ბარსელონას" სათამაშო სტილი, რომელიც ასევე კრუიფისაა და მოდერნიზებულია ხოსეპ გვარდიოლას მიერ. სანამ ფეხბურთელები მოტივაციას დაკარგავდნენ, ეს ამართლებდა. როცა დელ ბოსკეს რაღაც ახალი უნდა ეთქვა, მან ვერაფერი თქვა. მისი პირადი შეცდომა იყო დიეგო კოშტა. ამას სჯობდა, არ გადაეხვია ნაცადი გზისთვის და კვლავ გამოკვეთილი ფორვარდის გარეშე ეთამაშებინა გუნდი.

- მოტივაციაზე თქვით. მართლაც რთულია, ამდენი გამარჯვების შემდეგ ძველებურად ანთებული გახვიდე მინდორზე...

- რთული კი არა, ურთულესია, მაგრამ, როცა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშობ შენი ქვეყნის სახელით, ეს უნდა შეძლო. დიეგო მარადონაზე წავიკითხე წიგნი. მორჩა 1986 წლის მუნდიალი და შედის მარადონა გასახდელში. არის დიდი ზეიმი. დიეგო კი პირდაპირ ეკითხება მწვრთნელს - ეს ჩემპიონატი კი მოვიგეთ, მაგრამ ახლა რა ვქნათო? ამიტომ იყო ის უდიდესი ფეხბურთელი. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ეს კითხვა - „ახლა რა ვქნათ?" - თავის დროზე, ალბათ, არანაკლები სიმძაფრით დაისვა ესპანეთის ნაკრების გასახდელში. ვეჭვობ, დელ ბოსკემ ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხი ვერ მონახა. და ერთიც - მწვრთნელმა ხანდახან უნდა გარისკო, სიახლე შეიტანო გუნდში. ნებისმიერი, თუნდაც ბრწყინვალე შემსრულებლებით დაკომპლექტებული გუნდი იბადება, იზრდება და კვდება. მას „ახალი სისხლი" უნდა გადაესხა ესპანეთისთვის, მაგრამ ეს ვერ შეძლო, გადამწყვეტ მომენტში რისკს მოერიდა.

- „ახალ სისხლში" რომელ ფეხბურთელებს გულისხმობთ?

- მეტი უნდა ეთამაშათ კოკეს, ხუანფრანს... ორივე ამ ფეხბურთელს შესანიშნავი სეზონი ჰქონდა. მუნდიალზე უნდა ყოფილიყვნენ ნეგრედო და ლორენტე. მათ შეეძლოთ, ესპანელთა თავდასხმა უკეთესი გაეხადათ. რაც შეეხება ხესუს ნავასს, მისი სახლში დატოვება უდიდეს, საბედისწერო შეცდომად მიმაჩნია. ნავასი ამ ნაკრებში ერთადერთი განსხვავებული სტილის ფეხბურთელია. ის უსწრაფესია ფლანგზე და თავისუფალ სივრცეებს ქმნის მჭიდრო დაცვის ფონზეც კი. ნავასი ესპანეთის ნაკრებს ძალიან გამოადგებოდა. დელ ბოსკეს გუნდი გაიშიფრა. ვან გაალმა მას გრძელი პასებით მოუგო. ყველამ ისწავლა ესპანეთთან თამაში. გაძნელდა ჩაკეტილი დაცვის გარღვევა. ჩავი დაბერდა, ესპანეთს კი მესი არ ჰყავს.

- „ფურია როხას" თუ აქვს მომავალი?

- რა თქმა უნდა, ოღონდ, ისეთი მწვრთნელის ხელში, ვინც ნოვაციებს არ მოერიდება. ესპანეთს შესანიშნავი ახალი თაობა ჰყავს, რომელსაც იდეებით სავსე, პროგრესირებადი მწვრთნელი სჭირდება.

- სხვა გუნდებზე რას იტყოდით?

- ორი სიტყვით შევეხები ინგლისის ნაკრების ფიასკოს. პრემიერლიგა ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში, ნაკრები კი რა დღეშია, ყველა ვხედავთ. ეს იმიტომ, რომ ინგლისის ჩემპიონატის ყველა

გუნდში საკვანძო პოზიციაზე ლეგიონერები არიან. არის მეორე მიზეზიც - ინგლისის ნაკრებმა უარყო ის ფეხბურთი, რაც სისხლში აქვს: სწრაფი პასი ფლანგზე, ჩაწოდება და საჯარიმოში ან დასწრებაზე, ან თავით თამაში. ამასთან, მათ ვერც კონტინენტური ფეხბურთი ისწავლეს. არ ვიცი, მეთანხმებით თუ არა, მაგრამ ასეთი ინგლისის ნაკრები საცოდავი სანახავია.

გელა სანაია

ბალოტელიმ ვერ გაამართლა!

- იტალიის ნაკრების გამოთიშვას ასეთ ადრეულ სტადიაზე არ ველოდი. ჩვენს ქვეყანაში „სკუადრა აძურას" უამრავი გულშემატკივარი ჰყავს. მინდა ვუთანაგრძნო მათ.

- და „სკუადრა აძურას" კრახი კანონზომიერად მიგაჩნიათ?

- მთლიანობაში თუ ავიღებთ, კანონზომიერი მგონია. გავიხსენოთ იტალიელთა განვლილი გზა ამ მუნდიალზე. პირველი - კარგი მატჩი ინგლისთან და მერე - ორი უსახური თამაში.

- ცხადია, იტალიის ნაკრების ქომაგი ხელს არბიტრისკენ გაიშვერს, ვინც აპენინელები კაცნაკლულნი დატოვა. ამ ეპიზოდში დიდი ვნებათაღელვა იყო იტალიელთა სათადარიგო სკამზეც...

- მსაჯი ძალიან ახლოს იყო იმ ეპიზოდთან. ის ყველაფერს შესანიშნავად ხედავდა. პირადად ჩემი სუბიექტური აზრია, რომ მარკიზიოს შემთხვევაში მან ზედმეტი სიმკაცრე გამოიჩინა. შეეძლო, არ გაეძევებინა ფეხბურთელი, თუმცა იტალიის ნაკრები წაგებას ამ ეპიზოდს ვერ დააბრალებს. ელემენტარულად, ასეთ მატჩში ერთი რეალური საგოლე მომენტი მაინც უნდა შექმნა და ერთხელ მაინც ხეირიანად უნდა დაარტყა კარში.

- ფაქტია, ჩეზარე პრანდელის არჩეულმა ტაქტიკამ ვერ გაამართლა...

- პრანდელი რისკიანი კაცია. ის ძალიან ხშირად ცვლის სათამაშო სქემას. აგერ, ურუგვაისაც გადამწყვეტ შეხვედრაში ორი ფორვარდით შეუტია, მაგრამ შედეგი ვერ მიიღო და როცა იტალია რჩება ჯგუფში, დამნაშავე ყოველთვის მთავარი მწვრთნელია. არ მესმის, რატომ ჰყავდა იტალიას ასეთი სუსტი ფლანგები. ვგულისხმობ ძირითადად დაცვის ფლანგებს. რატომ იყო ასეთი უგერგილო თავდასხმა? ამ ყველაფერზე პრანდელიმ უნდა ისაუბროს.

- მარიო ბალოტელიზე რას იტყვით?

- ბალოტელიმ აშკარად ჩააგდო ეს ჩემპიონატი. მისი ნიჭის ფეხბურთელს მეტი რომ მოეთხოვება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. იტალიიდან მხოლოდ ვერატიმ მოახდინა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება. უმაღლესი კლასის ფეხბურთელია პირლო, მაგრამ მე მასზე საკუთარი აზრი მაქვს.

- რას გულისხმობთ?

- პირლო თავის პოზიციაზე საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო მაინც არის მსოფლიოში. რაც შეეხება ამ ჩემპიონატს, იტალიის ნაკრები ზედმეტად იყო პირლოზე დამოკიდებული და ამან, კონკრეტულ ეპიზოდებში, დათვური სამსახური გაუწია კიდეც „სკუადრა აძურას". გამოთიშე თამაშიდან პირლო და იტალია ხდება ნული! - ეს მარტივი ჭეშმარიტება კოსტა-რიკამ და ურუგვაიმ სათავისოდ გამოიყენეს.

ალეკო კაკაურიძე

მე გიშველი, შვილო!

გულჩვილი ჯალათის დასტაქარი, რომელმაც სასწაული მოახდინა

ლუის სუარესი - ინგლისელი დედები შვილებს ახლა მისი ხსენებით აშინებენ. „ლივერპულის“ ვარსკვლავმა ორი გოლით პირადად მოკლა ინგლისური ოცნება ბრაზილიაში და ოთხი წლით გაუხანგრძლივა ფეხბურთზე შეშლილ ფეხბურთის სამშობლოს მტანჯველი მოლოდინი, რომელიც ვერაფრით დასრულდა 1966 წლის შემდეგ...

რომ არა სუარესი, როი ჰოჯსონის გუნდი, დიდი ალბათობით, არ წააგებდა ფინალისდარ მატჩს ურუგვაისთან და კოსტარიკელებთან გადამწყვეტი შეხვედრის წინ ჯგუფური ბარიერის დაძლევის შანსს შეინარჩუნებდა.

ბედისწერამ და სუარესმა ინგლისს ერთად დასცინეს: ჯერ პირველი ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე, მერე კი 85-ე წუთზე - „ჯალათმა“ არ დაინდო აჭრილი და უფანტაზიო ინგლისი. არ დაინდო, გაიხარა და წამსვე სათადარიგოთა სკამზე მყოფ მავან ჭარმაგ კაცს მივარდა, ჩაეხუტა და ყველას ხელით მიუთითა მასზე.

ამ ისტორიას, ოღონდ სხვის დაწერილს, ალბათ, ინგლისშიც წაიკითხავენ. მერე ლუის სუარესი აღარ იქნება მხოლოდ ჯალათი. ვინძლო, ნისლიანი ალბიონის შვილებმა მას „გულჩვილი ჯალათი“ უწოდონ.

ყველაფერი კი დაიწყო მაშინ, როცა ურუგვაის მთავარმა იმედმა ჯერ პრემიერლიგის მიწურულს მიიღო მუხლის ტრავმა, მერე კი ვარჯიშისას გაიღიზიანა. „სუარესი მუნდიალს გამოტოვებს“, - დაარისხეს ზარები ურუგვაულმა ტელეარხებმა. ქომაგი დაიშოკა და ბოლო იმედს ჩაეჭიდა.

გავიდა რამდენიმე დღე. „ლუისს ოპერაცია სჭირდება“, - გამოჩნდა ახალი ინფორმაცია. ეს იყო მუხლზე მსუბუქი ქირურგიული ჩარევა. როგორც წესი, ამის შემდეგ ფეხბურთელს 4-6 კვირა სჭირდება რეაბილიტაციისთვის...

კლინიკასთან ზღვა ხალხია. გვითხარით რამე, ჩვენ ოჯახები მივატოვეთ ამ ბიჭის გამო - წამდაუწუმ ესმით ურუგვაის ნაკრების საექიმო შტაბის წარმომადგენლებს, ნერვიულად რომ დააბიჯებენ საავადმყოფოს ფოიესა თუ მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

„გადაჭრით ვერ გეტყვით, მაგრამ შანსი არის“, - ამბობენ დასტაქრები და ბოლომდე თავადაც არ სჯერათ, რომ ეს სასწაული მოხდება.

გადის ერთი საათი, ორი, სამი... მტანჯველ მოლოდინს ბოლო მოეღო. ლუის სუარესი, ვერცხლისფერ ეტლში ჩასვენებული, ხალხს ესალმება. მის თვალებში სასოწარკვეთას ამოიკითხავთ.

ეს ხდება 22 მაისს...

გათენდა 23 მაისი. ლუისი ურუგვაის ნაკრების ფიზიოთერაპევტ ვალტერ ფერეირას შეხვდა. ეს შეხვედრა ალბათ ყველაზე ბედნიერი იყო მის ცხოვრებაში.

ფერეირა ნაკრებისთვის შინაური კაცია. არიან ადამიანები, წლების განმავლობაში ჩუმად რომ აკეთებენ თავიანთ საქმეს - მნიშვნელოვან საქმეს, რომელსაც სხვა ვერ გააკეთებს. ხშირად ისინი დაუფასებელნი რჩებიან, მაგრამ ამქვეყნიურ ჯილდოებს არად დაგიდევენ - მათი მთავარი ჯილდო საქმის სიყვარულია.

ფერეირაც ასეთი კაცია. მას არაერთხელ გაუმთელებია ენცო ფრანჩესკოლის, რუბენ სოსას, ალვარო რეკობას, მარსელო სალაიეტასა და დიეგო ფორლანის მუხლები.

„მე გიშველი, შვილო, - უთხრა მოხუცმა ბიჭს, - ოღონდ, გჯეროდეს სასწაულის“.

...და უშველა. სუარესმა ინგლისთან იფრინა და კიდევ ბევრჯერ იფრენს. კეთილი მოხუცი კი, ამ სასწაულის შემოქმედი, ახლა ცუდადაა - კიბოს ებრძვის. ბოლო გამოკვლევა ამ ერთი თვის წინ ჩაიტარა.

...დიახ, იმ გოლის შემდეგ სუარესი სწორედ ვალტერ ფერეირას ჩაეხუტა. სუარესს, ინგლისელთა ბოროტ დემონს... გულიც ჰქონია!

ალეკო კაკაურიძე

აი, ის დასტაქარიც...

დიდი მკბენარის ფოტოისტორია

ლუის სუარესს ჯორჯო კიელინი ჯერ კიდევ შარშანდელი კონფედერაციათა თასიდან ჰყოლია მიზანში

და ახლა აუსრულა

წინა ორი მსხვერპლი:
ბრანისლავ ივანოვიჩი და...

© VI-Images via Getty Images

...ოტმან ბაკალი

ფიქრები ოკეანის გაღმიდან

ალექსანდრე გოგიშვილი

ნაფეხურები პატარა ეზოში

ფეხბურთში სულ ასე იყო - დიდი ბიჭები პატარა ეზოებში იბადებოდნენ. ერთი დოკუმენტური ფილმი მახსოვს - ბურთზე და პატარა, მოასფალტებულ თუ მობეტონებულ ეზოზე. ჰო, ასე: კადრში მარტო ბურთი და პატარა, მოასფალტებული თუ მობეტონებული ეზო, კადრსმიღმა - დიქტორის ხმა. ადამიანები თითქმის არ ჩანდნენ. არც იყვნენ საჭირონი - ის ფილმი ხომ ზიზუზე იყო. უბრალო, მაგრამ მაგარ მარსელელ ბიჭზე, იმ ეზოდან და იმ ბურთიდან რომ დაიწყო და ჰეეე, სად მივიდა...

...მე რომ მკითხო, პელემდე და მარადონამდე - აი, ეგრე, ცალსახად. იქამდე მისვლას მარტო მაგრობა არ ჰყოფნის - მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი და საფეხბურთო სამყაროსთვის სულ მაღლიდან გადმოხედვა სჭირია. შეძლო. შეძლო კი არა - სულ თვითონ იყო: ბრაზილიელებთან ფინალში გატანილი ორი გოლითა და სხვა რამე-რუმეებით.

სტატისტიკას და ფაქტს თავი დავანებოთ: ვერავინ გაიხსენებს

ე, სწორედ მაშინ დაიჯერა ხალხმა, რომ ფეხბურთის ისტორიამ მესამე დიდი „ათიანი" „ჩაიბარა" - პელე, მარადონა და ის, ზიდანი...

რვა წლის მერეც მაგარი იყო. ხანდახან ვფიქრობ, ის პენალტი ცინიზმმა უფრო დაარტყა, ვიდრე ზიზუმ-მეთქი, მაგრამ, როცა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ჯიჯი ბუფონს ასეთ პენალტს ურტყამენ, სხვა რამეზე ფიქრი უფრო გმართებს...

იმაზე, რომ ასეთებს მხოლოდ მაგარი ბიჭები სჩადიან და მაგარი ბიჭების ერთი შტრიხ-კოდი ისიცაა, გააფუჭონ, წაახდინონ, თავისი ადგილი მიუჩინონ მეტოქეს.

იქ, იმ წამში ყველაფერი დაეტია: დუელიანტის სული, სიმამაცე, ტექნიკა, ფიქრიც და საქმეც.

მერე მატერაცისთან ინციდენტმა ვითომ გააფუჭა ყველაფერი, მაგრამ...

გააფუჭა კი? მე პირიქით მეგონა და სულ პირიქით მეგონება. იმ მომენტში ზნეობა და ღირსება ზიდანის მხარეზე იდგა - იტალიელმა ენა ამუშავა, ფრანგმა - თავი და...

გამოვიდა ისე, როგორც უნდა გამოსულიყო, როგორც გამოდის

ინც იქ გაიზარდა, სადაც საჭირო დროსა და ადგილას სულ ისმის ხოლმე დროში გამოცდილი მოძახილი: „მუშკეტერებო, აქეთ!"

ამიტომაა, სულ მგონია, რომ იმ ეპიზოდმა მხოლოდ დაამშვენა, მხოლოდ ფასი შემატა ზინედინ ზიდანის კარიერას.

ან ვინ თქვა, რომ მთავარი გმირი ტრაგიკული ფინალით ვინმეზე უარესია?

კიდევ ერთი რამ: ზინედინ ზიდანმა შეძლო და გადაფარა მიშელ პლატინი - მასსავით „არაფრანგული" ფესვების მქონე, მასსავით „ათიანი" და საერთოდ, ძნელია, ძალიან ძნელია დიდი ადამიანების ნაკვალევზე სიარული - ფეხბურთში იქნება ეს თუ ნებისმიერ სხვა სფეროში.

დიდი ხის ჩრდილში ამოსული პატარა ყვავილის ისტორიაა ეს - იშვიათად ახერხებენ სამზეოზე გასვლას.

ზიზუმ შეძლო და შეძლო გაცილებით მეტი - მისი თაობის ფეხბურთელებმა საფრანგეთს აჩუქეს ის, რაც ვერც პლატინიმ შეძლო, ვერც კოპამ და ვერც ფონტენმა.

ჰო, რა თქმა უნდა, მარტო არ

დენიც ფაბიენ ბარტეზისა კი არა, ზინედინ ზიდანის თავში იხლართებოდა.

კიდევ ერთი განსაკუთრებულობა - მისი ყაიდის ფეხბურთელები კონიაკივით არიან: რაც მეტი დრო გადის, ფასი და სიმაგრე ემატებათ. მახსოვს ზიდანი „იუვენტუსში"; ამას წინათ, გია გურულის ინტერვიუ მონაკოელ ზიდანთან ორთაბრძოლის ფოტომაც დაამშვენა, მაგრამ ყველაზე კარგი მაინც „რეალში" იყო.

აკი, მოინათლა კიდეც იმ პერიოდის სამეფო კლუბის სტრატეგია „ზიდანებისა და პავონების" პოლიტიკად.

და შერჩა „რეალისა" და ფეხბურთის ისტორიას ფრანსისკო პავონი - როგორც დიდ წიგნში ჩადებული პატარა ბროშურა.

ან რატომ მხოლოდ პავონი? მაშინ ყველანი ზიდანისგან ანარეკლი შუქით არ ანათებდნენ?

მიუხედავად იმისა, რომ იყო რონალდოც - სხვებს თავი დავანებოთ.

ამ შემთხვევაში, პოზიციამ, გავლენამ და ფუნქციამ გადანონა ყველაფერი. სავარაუდოდ,

ზიზუ

უფრო სუსტ და უსუსურ ბრაზილიას, ვიდრე 1998 წლის ფინალში იყო - ამის ბრალი თუა, იგონებდნენ და იგონებენ ათას ისტორიას: „კიჭა ფენომენის" მუცლის სისუსტიდან დაწყებული, ფრანგების „შინაური სიძლიერით" დამთავრებული.

ხოლმე ზოგადად - საბოლოოდ იმან გაიმარჯვა, ვინც თავი ამუშავა.

ვინც უფრო კაცი იყო.

გასაგებია, რომ ახლა, ამ გამოლიბერალურებულ დროში ანაქრონიზმად ჟღერს, მაგრამ რა „არაფრანგული" ფესვების პატრონიც უნდა იყოს, ზიზუ ხომ მა-

ყოფილა - იყვნენ სხვებიც და ფეხბურთი მის დროსაც ცალსახად გუნდური თამაში იყო, მაგრამ ბლანი რომ ბარტეზს საქოჩრეზე კოცნიდა, გულში უთუოდ ზიზუზე ფიქრობდა:

უბრალო მიზეზის გამო: ყველაფერი, მომხდარიც და მოსახ-

მსოფლიო ფეხბურთს არ ჰყოლია „კიჭაზე" დიდი მეგოლე, მაგრამ ვერც იმას უარყოფს ვინმე, რომ მსოფლიო ფეხბურთში დღემდე არავის გამოუგონია უფრო მნიშვნელოვანი, გავლენიანი და საჭირო პოზიცია, ვიდრე მეათე ნომერია.

სულ ასე იქნება - ვერ გამოვა ფეხბურთი „ათიანის“ ხიბლიდან.

კიდევ ერთი საგულისხმო ეპიზოდი: ზინედინ ზიდანი იყო პირველი კაცი, რომელმაც დაამტკიცა, რომ ფეხბურთს პატრიოტიზმი არ თამაშობს. კი, ჰო, დიახ, სადღაც რაღაცაში შეიძლება მოგეხმაროს, მაგრამ...

ამიტომ იყო, ფრანსუა მიტერანისა თუ ჟაკ შირაკის „პოლიტფრაზას“ გულმოსულმა რომ უპასუხა - არ ვარ, ბატონო, ეს ფრანგიო და ამით ხაზი გაუსვა, რომ შორს, ძალიან შორს დგას იმ გარეწრებისგან, რომელთათვისაც პატრიოტიზმი თავშესაფარია...

ფეხბურთის თამაშს სიყვარული, ცოდნა და ის ნიჭი სჭირდება, რომელსაც ჩვენმა დიდმა „ათიანმა“ „შრომის ნიჭი“ უწოდა.

ეგრე, ლანგარზე არავისთვის არაფერი მიურთმევიათ - ზიდანისთვისაც კი.

და ვინ იცის, რამდენი ოფლი დაიღვარა იმ პატარა, მოასფალტებულ თუ მობეტონებულ ეზოში, სანამ უბრალო, მაგრამ მაგარ მარსელელ ბიჭს მსოფლიო გაიცნობდა.

რომელმაც იმ პატარა ეზოდან დაიწყო და ჰეეე, სად მივიდა...

ქართული ფეხბუ
და დაუფასებელ

„ვინც წარსულს ივიწყებს, ის მომავალზედაც ხელს იღებს“ - აკაკი წერეთლის ეს სიტყვები დღევანდელ ქართველობასაც ეხება. დაახლოებით ორი თვის წინ, 25 აპრილს, ანდრო ჟორდანიას გარდაცვალებიდან 40 წელი შესრულდა, უფრო ადრე კი, გასული წლის 29 დეკემბერს - დაბადებიდან 110 წელი, მაგრამ ეს ამბავი არავის გახსენებია...

მემორიალური დაფის მოლოდინში

...არადა, ლაპარაკია ქართული ფეხბურთის პატრიარქზე. ეს სულაც არ არის გადაჭარბებული შეფასება. **ანდრო ჟორდანია** 1922 წლიდან თბილისის სხვადასხვა გუნდში თამაშობდა, 1925 წელს, ახალშექმნილი თბილისის „დინამოს“ პირველ კაპიტნად აირჩიეს, სადაც 1925-28 და 1930-31 წლებში ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე ათამაშებდნენ. სხვადასხვა წლებში გამოდიოდა კიევის „დინამოში“, ივანოვოს „ოსნოვაში“, ამიერკავკასიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებებში.

კინორეჟისორებთან - **ლევან ხოტივარსა** და **ნიკოლოზ სანიშვილთან** ერთად, ჩამოაყალიბა გუნდები ქუთაისში, ლანჩხუთში (კიმ-ი, რომელსაც 1960 წლიდან ეწოდა „გურია“), თბილისის უნივერსიტეტში, 1925 წელს კი - თბილისის „დინამოს“ დაფუძნებაშიც მონაწილეობდა.

ჟორდანიამ მწვრთნელობა 1936 წელს დაიწყო და საყვარელ საქმეს 30 წელი ემსახურა. ერთი ხანობა, ის ივანოვოს „სპარტაკსა“ და „ოსნოვასაც“ ავარჯიშებდა, 1945-47, 1955 და 1959-61 წლებში - თბილისის „დინამოს“. უმუშავია თბილისის „სპარტაკში“, ტყიბულის „მეშახტესა“ და ქუთაისის „ტორპედოში“.

მისი ხელმძღვანელობით „დინამო“ 3-ჯერ (1946, 1947, 1959) გახდა სსრკ-ის ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორი, 2-ჯერ (1946, 1960) გავიდა თასის ფინალში, იყო საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ჟორდანიამ დააყენა დიდ გზაზე **გივი ჩოხელი, მიხეილ მესხი, მურთაზ ხურცილავა, სერგო კოტრიკაძე, შოთა იამანიძე, გურამ ცხოვრებოვი, გიორგი სიჭინავა, ვლადიმერ ბარქაია, გურამ პეტრიაშვილი, ზაურ კალოევი**...

რომან მიმინოშვილმა ანდრო ჟორდანიას მოგონებებზე დაყრდნობით დაწერა წიგნი - „ფიქრები ქართულ ფეხბურთზე“. წლების შემდეგ, **იოჰან კრუიფი,** თავის წიგნში, მსგავს მოსაზრებებს ინდივიდუალიზმსა და უნივერსალიზმზე ერთი-ერთზე გაიმეორებს. შეიძლება ითქვას, რომ „ფიქრები ქართულ ფეხბურთზე“ ჩვენი მწვრთნელებისთვის სახელმძღვანელოდ გამოდგება, მაგრამ მის ხელახლა გამოცემაზეც არავინ ზრუნავს.

ანდრო ჟორდანია 1974 წლის 25 აპრილს თბილისში გარდაიცვალა. „დინამოს“ საწვრთნელი ბაზა დღემდე ამ ლეგენდარული პიროვნების სახელს ატარებს. მაგრამ, მისი სახელი და ქვეყნისთვის გაღებული ღვაწლი გაცილებით მეტ დაფასებასა და სიყვარულს იმსახურებს.

ჟორდანიას პირდაპირი შთამომავალი არ დარჩა და თავისი დის, **ნინა ჟორდანიას** ვაჟები - **ომარ ფაღავა** და **ბადრი გოგოძე** გაზარდა. **შოთა ფაღავა**, რომელიც ლეგენდარულ მწვრთნელზე გველაპარაკა, ბატონი ომარის ვაჟია:

იტალიელი ვაჭრის შთამომავალი

- როგორც ნოე ჟორდანია ავტობიოგრაფიულ წიგნში - „ჩემი ცხოვრება“ - წერდა, 1831 წელს ფოთში გემით ჩამოვიდა სამი გენუელი ვაჭარი ძმა, გვარად ჯორდანები. ჰოდა, ჟორდანიები მათი შთამომავლები ვართო...

- დიდი ნოეს ნათქვამში ეჭვის შეტანის არანაირი საფუძველი არ გამაჩნია.

- მერაბ ჟორდანია ანდროს ნათესავია?

- დიახ, მაგრამ ძალიან ახლო ნათესავიც არ არის. სიმართლე გითხრათ, მერაბი სულ ერთხელ მყავს ნანახი.

- ანდრო ხალხს კი უყვარდა, მაგრამ ხელისუფლება ხელს რატომ უშლიდა?

- „ძაღლის თავიც“ სწორედ აქ არის დამარხული - საქართველოს პირველი, დამოუკიდებელი რესპუბლიკის მეთაური ნოე ჟორდანია ანდროს ბიძა იყო - მამის ძმა. ამის გამო, პრობლემები სიცოცხლის ბოლომდე არ მოჰკლებია - გააწვალეს, დააპატიმრეს, მერეც ციხეს რამდენჯერმე ბენვზე გადაურჩა. ბოლომდე მუშაობა არც ერთ კლუბში არ აცადეს. არადა, ყველგან უნიჭიერესი მოთამაშეები აღმოაჩინა. სამწუხაროდ, მამა შარშან გარდაიცვალა და თან ბევრი საინტერესო ისტორია წაიღო. მაგრამ რაღაცები მაინც ვიცი.

- ნოეს ძმისშვილი საქართველოში როგორ დარჩა?

- დედაჩემისთვის, რომელიც შვილივით უყვარდა, ეს ამბავი აქვს მონათხრობი - თურმე, მენშევიკურ მთავრობასთან ერთად ევროპაში ბათუმიდან უნდა გამგზავრებულიყო. ნოემ თავად წაიყვანა, მაგრამ 16 წლის ბიჭი, თოფით ხელში, თავის დასთან, ნინასთან ერთად გემიდან გამოიპარა. ნოე ეხვეწებოდა, მაგრამ არაფრით წაჰყვა, საქართველოსთვის არაფერი დამიშავებია და წასასვლელი არაფერი მჭირსო. აქედან დაიწყო კიდეც მისი მარტვილობა. ნოესთან ურთიერთობა აღარ ჰქონდა, მაგრამ საქართველოს „გაწითლების“ პერიოდი მისთვის მაინც მძიმე აღმოჩნდა.

- როგორც ვიცი, თავად დაოჯახებული არ იყო...

- ოფიციალურად დაოჯახებული არ იყო, მაგრამ ივანოვოში

...რთის ნაჭანჯი ...ლი პატრიარქი

ჰყავდა მეუღლე და ვაჟიშვილი, რომლებიც ომის დროს დაიღუპნენ. შვილებივით კი მამაჩემსა და ბიძაჩემს ზრდიდა. მე კი იმით დამამახსოვრდა, რომ უაღრესად თბილი და მოსიყვარულე ბაბუა იყო.

პატიმრობა და ომი

- როგორც ვიცი, ივანოვოში გადასახლებული იყო. რატომ?

- 1938 თუ 1939 წელს დააკავეს. ზუსტად ვერაფერს გეტყვით.

- დახვრეტას როგორ გადაურჩა?

- ლავრენტი ბერიას ადიუტანტმა და მარჯვენა ხელმა, ბახჩო ქობულოვმა გადაარჩინა.

- ქობულოვი ცნობილი კაცისმკვლელი იყო და ეს როგორ?!

- საქმე ისაა, რომ ანდროს დის, მატილდას ქმარი იყო ამიერკავკასიის ციხეების უფროსი და მის სახლში ბერია და ბახჩო ხშირად სტუმრობდნენ. მიუხედავად ამისა, რეპრესიებს ისიც ვერ გადაურჩა. როგორც უამრავი ადამიანი, ისიც დახვრიტეს, ქალბატონი მატილდა კი გადაასახლეს. ბახჩო პატივს სცემდა ანდროს და შეეცოდა, თავს მე ნუ დამაჭერინებ, ჯობია, წახვიდეო. ანდრო ივანოვოს მანამდეც სტუმრობდა და იქ დასახლდა. მაგრამ 1938 თუ 1939 წელს იქ დაიჭირეს, თუმცა არ გაუსამართლებიათ. ზუსტად არც ვიცით, ციხეში რამდენი წელი იჯდა. ანდრო ჰყვებოდა - ომი რომ არ დაწყებულიყო, ციხეში ამომალპობდნენო.

- ომში როგორ მოხვდა?

- ომმა ციხეში მოუსწრო. თხოვნა დაუწერია - დანაშაულის გამოსყიდვის საშუალება საკუთარი სისხლის ფასად მომეცითო. რა დანაშაული ჰქონდა, მაგრამ რა უნდა ექნა? მისთვის თავის გადარჩენის ერთადერთი გზა ეს იყო. 1941 წლის ბოლოს ციხიდან საჯარიმო ბატალიონში გადაიყვანეს და მოსკოვისთვის ცნობილ ბრძოლაშიც მონაწილეობდა. იქ თურმე საზარბაზნე ხორცად აქციეს - 400 კაცს 4 თოფი მისცეს და გამოუცხადეს, გერმანელების სანგრებამდე მიაღწიეთო. ვინც უკან იხევდა, ზურგიდან „ენკავედეს“ ნაწილები ტყიამფრქვევებიდან ესროდნენ.

- ბერლინამდე ჩავიდა?

- არა. გამოიარა სტალინგრადის ბრძოლა, 1942 წელს კი კურსკთან ბრძოლაში ნაღმის ნასხლეტი ხელსა და თავში მოხვდა და ხელი გაუფუჭდა. ეს ისტორია ამით არ დასრულებულა - ჰოსპიტალში გადაყვანისას ეშელონი დაიბომბა და ფეხებშიც დაიჭრა. ეს ჭრილობები მთელი ცხოვრება აწუხებდა. მართლა სასწაულია - სამართებლის პირზე გაიარა და გადარჩა. მატარებლით თბილისში ჩამოიყვანეს და ბაქოში გადაჰყავდათ, როცა სიძეს, ბიძინა გორგოძეს მიაწვდინა ხმა. ერთი ბოთლი არყის ფასად თუ როგორ, არ ვიცი, მაგრამ ბიძინამ მისი თბილისში დატოვება მოახერხა. მით უმეტეს, ექიმების ვერდიქტი მაშინვე იყო ცნობილი - სრული გაკომისიავება.

- სიტყვა „დიავოლს“ (ეშმაკი) რატომ ხმარობდა?

- არ ვიცი. სხვათა შორის, გიზო ჟორდანია ჩვენი ნათესავია და ისიც, სტუდენტებთან, მსგავს სიტყვას მონონების ნიშნად ხმარობს.

- ანდრო ჩაკეტილი ადამიანი ყოფილა...

- ესეც ცხოვრებისგან იყო. კომუნისტების შიში ცხოვრების ბოლომდე გაჰყვა. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, „დინამოში“ დიდხანს რომ არ აჩერებდნენ, მის მიმართ კომუნისტების უნდობლობა იყო. მათ და ფაშისტებს ერთად აგინებდა. ერთ ამბავს მოგიყვებით: ომის შემდეგ თბილისის „დინამოს“ პარიზში გაჰყვა. ჩამოვიდა თბილისში და ბებიაჩემს უკითხავს - იქ ჩვენს ნათესავებს თუ შეხვდიო? რას ამბობ, მაგათ როგორ შევხვდებოდი, იქვე დამხვრეტდნენო! ბებიაჩემი 1967 წელს გარდაიცვალა. ეს ამბავი თბილისში პარიზის საბალეტო დასის გასტროლებს დაემთხვა, სადაც ნოეს შვილიშვილი, პრიმაბალერინა ეთერ ფალავა ცეკვავდა. ეთერი პანაშვიდზე მოვიდა, მაგრამ ანდროს ისე ეშინოდა დაჭერის, სახლიდან გაიქცა და არ შეხვდა. ციხის შემდეგ სიფრთხილე სისხლში ჰქონდა გამჯდარი.

ოქროსმატჩამდელი ამბები

- სხვათა შორის, ბევრმა არც იცის, როგორ მოხვდა თბილისის „დინამო“ 1964 წლის „ოქროს მატჩში“...

- ეს ქუთაისის „ტორპედოს“ დამსახურება იყო, რომლის მთავარი მწვრთნელიც მაშინ ანდრო ჟორდანია გახლდათ. ჩემპიონატის ბოლო ტურში ქუთაისელები „დინამოს“ ხვდებოდნენ. „ტორპედოს“ 26 ქულა ჰქონდა, გავარდნის პირას იყო და წაგების შემთხვევაში, პირველ ლიგაში დაქვეითდებოდა. „დინამო“ კი მოგებით ავტომატურად ჩემპიონი ხდებოდა. რა გინდა, რომ ჰქნა? ანდრო საშინელი დილემის წინაშე იდგა. ქართულ გუნდს პირველად ჰქონდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობის რეალური შანსი, რაც მისი ოცნება იყო. მეორე მხრივ, „ტორპედოსაც“ ვერ გაწირავდა... მოკლედ, „ტორპედომ“ „დინამოს“ ბრძოლა გაუმართა და მატჩი 1:1 დასრულდა. საბოლოოდ, „დინამოს“ მოსკოვის „ტორპედოსთან“ „ოქროს მატჩის“ ჩატარება მოუხდა, ქუთაისის „ტორპედომ“ კი გადათამაშებაში მიიღო მონაწილეობა და მასაც გადამწყვეტი მატჩი ტაშკენტში ჰქონდა, „დინამოს“ ისტორიული გამარჯვებიდან ოთხი დღის შემდეგ. „ტორპედომ“ 4:2 მოიგო. ანდროს კი, „დინამოსთან“ ფრის შემდეგ, კომუნისტებმა „მადლობა“ გადაუხადეს - სპორტკომიტეტიდან მისი გათავისუფლების ბრძანება მოვიდა.

- კომუნისტებს ასეთები „ეხერხებოდათ“...

- ნამდვილი მადლობა გულშემატკივრებმა გადაუხადეს - ამ ბრძანებით აღშფოთებული ქუთათურები ანთებული ჩირაღდნებით აღმასკომის შენობას მიადგნენ. კომუნისტებს ფეხბურთის გამო რევოლუცია არ აწყობდათ და ანდრო აღარ გაათავისუფლეს. მაგრამ ეს ამბავიც იყო იმის გამოხატულება, როგორ ექცეოდა კომუნისტური ხელისუფლება ადამიანს, რომელმაც ქართულ ფეხბურთს უზარმაზარი სამსახური გაუწია. ამხელა უმადურობის გამო, ანდრო ჟორდანიამ საფლავში უდიდესი ტკივილი წაიღო... „ლელო“ ადრე სწორად წერდა: 1953 წელს ბერიამ დინამოელებს სტალინის სიტყვები გადასცა - ჭკუით იყავით, რუსების იმპერიაში თქვენთვის მეორე ადგილიც ბევრიაო. როცა „დინამო“ წარმატებებს აღწევდა, ჩვენში ეროვნული სული იღვიძებდა, რაზეც მოსკოვში გიჟდებოდნენ. ამიტომ იყო, 1961 წლამდე ჩემპიონები მხოლოდ მოსკოვის გუნდები რომ ხდებოდნენ, 1953 წელს კი „დინამოს“ ოქროს მედლების მოპოვების შანსი ძალით წაართვეს. ანდრო ქართულ სულს აღვიძებდა და რაში აწყობდათ?!

მერაბ მამულაშვილი

ხუთი ადგილი, სადაც ადრენალინის

კეივ-დაივინგი კინტანა-როოში

თუ დაივინგი შეიძლება სწრაფად აითვისოს ნებისმიერმა ჯანმრთელმა ადამიანმა, კეივ-დაივინგი - გაცილებით თამამებისა და გამოცდილებისთვისაა. წყალქვეშა მღვიმეებში შეუძლებელია ექსტრემალური ამოყვინთვა, იქ გაცილებით ცივა, ცუდი ხილვადობაა და გაცილებით იოლია გზა აგერიოს. ექსტრემალ მყვინთავებს ეპატიჟებიან ნახევარკუნძულ იუკატანის ჩრდილოეთით. იქ მექსიკის შტატ კინტანა-როოში დიდი რაოდენობით წყალქვეშა მარშრუტებია, სადაც საათობით „სეირნობა" შეიძლება.

დოღი ველურ ხარზე ტექსასში

წესი მარტივია: უნდა გაძლო რვა წამი. მაგრამ ეს რვა წამი უსასრულობად გეჩვენება, რადგან გააფთრებულ ხარზე ზიხარ და თან უფლება გაქვს მხოლოდ ცალი ხელით გეჭიროს საკუთარი თავი. ველურ ხარზე დოღი როდეოს ყველაზე სახიფათო სახეობად მიიჩნევა, მაგრამ თუ საკუთარ თავში დარწმუნებული ხართ, გაემგზავრეთ აშშ-ის სამხრეთით - იქ გელოდებათ „რვა ყველაზე სახიფათო წამი სპორტში".

ჰერი-სკი ანდებში

ამბობენ გაუვალ და ფეხდაუდებელ თოვლიან კალთაზე დაშვება - განსაკუთრებული, ყველაფრისგან გამორჩეული სიამოვნებაა, რომელიც მიუღწეველია ჩვეულებრივი მოყვარული მოთხილამურისთვის, რომელიც საბაგიროს რიგში დგას. თუმცა ამ სიამოვნების ფასი, შესაძლოა, ძალიან მაღალი იყოს: მოუმზადებელი ტრასა ბევრ ხიფათს შეიცავს და იქიდან დაშვება მხოლოდ უდიდესი გამოცდილების მქონე მოთხილამურეს შეუძლია. ყველაფერთან ერთად, მან იცის,

ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ

როგორ გამოიყენოს სხვადასხვა ინვერტარი, მათ შორის ზვავის გადამცემები. ასეთ მთებზე ვერტმფრენით ადიან. მსგავსი „ტრასების“ მოძებნა ნებისმიერ პოპულარულ სამთო კურორტზე შეიძლება. მაგალითად, ანდებში სეზონი ივნისიდან ოქტომბრამდე გრძელდება - შესაძლოა, ეს არის საუკეთესო საშუალება ზაფხულის სიცხისგან თავის დასაღწევად.

რაფტინგი თეთრ ნილოსზე

სპორტის ეს სახეობა უკვე ძალიან პოპულარულია, მაგრამ საკმაოდ რთული და ტრავმატული: არსებობს ექვსი კატეგორია და უკვე მესამე კატეგორია დიდ გამოცდილებას მოითხოვს. რაფტინგი ბევრს ადგილას არის ხელმისაწვდომი, მაგრამ ეგზოტიკის მოყვარულებს ურჩევენ უგანდაში გამგზავრებას და თეთრ ნილოსზე დაშვებას - ეს არის ნილოსის თითქმის ათასკილომეტრიანი შენაკადი.

ჰაგბოლი ეშბერნში

არ არსებობს იმაზე ველური საფეხბურთო მატჩი, ვიდრე ის, რომელიც ყოველწლიურად ინგლისის პატარა სოფელ ეშბერნში იმართება. მატჩში მონაწილეობას იღებს სოფლის თითქმის ყველა მცხოვრები. მათ ემატება ათობით ტურისტი - ისინი ყოველ წელს სპეციალურად ჩადიან ეშბერნში ჰაგბოლის სათამაშოდ. მოთამაშეები ორ გუნდად იყოფიან, მინდვრად იყენებენ მთელ სოფელს. ეშბერნის სხვადასხვა ბოლოში ქვებისგან დამზადებული ორი „კარია“, გოლის გატანა ნიშნავს - ბურთის ქვაზე სამჯერ დარტყმას. ჰაგბოლს პრაქტიკულად არ აქვს წესები, თუმცა ცნობილია, რომ მკვლელობა და მძიმე დაზიანების მიყენება არ არის მიზანშეწონილი.

გია თვალაბეიშვილი

ვახტანგ ბლაგიძე

ფინალის წინ უნგრელს მუხლები უცახცახებდა

დაიბადა 1954 წლის 23 ივლისს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში (ოდილაური). „კლასიკური“ ჭიდაობა დაიწყო ოზურგეთში 15 წლისამ მიხეილ თავართქილაძის ხელმძღვანელობით, მერე ჯემალ მეგრელიშვილი ავარჯიშებდა. საქართველოს და საკავშირო ნაკრებ გუნდებში დათო დავითაია, ვიქტორ იგუმენოვი, გენადი საპუნოვი და შამილ ხისამუტდინოვის მეთვალყურეობით იმაღლებდა ოსტატობას.

თანატოლებში 1970 წლის საქართველოს ჩემპიონმა 1971 წელს მოსწავლეთა რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადები მოიგო. 1976 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე მე-3 ადგილი დაიკავა, მომდევნო წელს მსოფლიო უნივერსიადაზე გაიმარჯვა. 1978 წლის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა 1980 წელს ევროპის ჩემპიონატსა და მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედლები დაიმსახურა.

1981 წლის საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონია. 1982 წლის მსოფლიოს თასის მფლობელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვახტანგ ბლაგიძე ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენის კავალერი და „სპორტის რაინდია“. ოზურგეთში ოლიმპიური ჩემპიონის ვარსკვლავი გაიხსნა...

რკინის რაში

- დავიწყოთ იმით, თუ როგორ მოხვდით საჭიდაო ხალიჩაზე...

- ორი წლის ვიყავი, ჩოჩხათიდან ოზურგეთის რაიონის სოფელ ბაილეთში რომ გადავედი საცხოვრებლად ოჯახთან ერთად. მამა ადრე დამეღუპა და უფროსმა ძმამ - ზაურმა გაგვზარდა მე და გივი, ჩემი მეორე ძმა. მაშინ რაიონში პოპულარულები იყვნენ ჩვენი თანასოფლელები - ელგუჯა დარჩია და გონერ ჩხარტიშვილი - ცნობილი ფალავნები. ოზურგეთში მათს ორთაბრძოლებს რომ ვესწრებოდი თანატოლებთან ერთად, სურვილი გამიჩნდა ჭიდაობაზე მევლო. საიდუმლო გონერს გავანდე, მან კი მიხეილ თავართქილაძესთან მიმიყვანა. სოფლის შრომას მიჩვეულს ვარჯიში არ მეზარებოდა - ჩემი სახლიდან დარბაზამდე 12 კილომეტრი იყო. ხშირად მივლია ფეხით, რადგან ზოგჯერ ავტობუსის ფულიც არ მქონდა. განსაკუთრებით ზამთრობით მიჭირდა: ადრე ღამდებოდა, გორები უნდა გადამევლო და ტურების მეშინოდა. ამიტომ დროდადრო მეგობრებთან - ზურაბიანებთან ვრჩებოდი. ისინიც ჭიდაობდნენ და ნახევრად მათს ოჯახში გავიზარდე. გზასავალი რომ შეემსუბუქებინათ, ბიჭებმა ველოსიპედის ნაწილები შემიგროვეს და ჩემი ხელით ავაწყვე „რკინის რაში“. მერე ვარჯიშებზე სიარული გამიადვილდა. 16 წლის ვიყავი, რაიონულ პირველობაზე ტრავმირებულმა რომ ვიჭიდავე. ტკივილს ყურადღებას არ ვაქცევდი - ჩემპიონობა რომ არ მომეპოვებინა, უფროსი ძმა ვარჯიშებზე არ გამიშვებდა. ოჯახის მთელი სიმძიმე მას აწვა მხრებზე და, ცხადია, დამხმარე სჭირდებოდა. შინ პირველი ადგილის დიპლომითა და მედლით რომ დავბრუნდი, ზაურს გაუხარდა და მერე ხელსაც კი მიწყობდა, ვარჯიშები აღარ გამეცდინა...

ქულაც არავისთვის დამითმია

- ...და მალე თბილისშიც ჩამოხვედით...

- 1971 წელი იყო, მოსწავლეთა საქართველოს სპარტაკიადა რომ მოვიგე და დათო დავითაიას ინიციატივით, სავარჯიშოდ თბილისში გადმომიყვანეს. ბატონი დათო მაშინ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო; იმავე წელს ალმათიში მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონი გავხდი. 1973 წელს სწორედ დათო დავითაიას ხელმძღვანელობით „კლასიკოსებმა“ ჯერ საბჭოთა კავშირის, შემდეგ კი ევროპის თასი მოვიგეთ ბულგარეთში. მაშინ გუნდში ჩემთან ერთად გამოდიოდნენ ისეთი ცნობილი ფალავნები, როგორებიც იყვნენ: მიხეილ სალაძე, თეიმურაზ აფხაზავა, ესტატე გოგლიჩიძე, ბაქსან ლეკვეიშვილი, თამაზ ბაბუხადია, ავთანდილ მაისურაძე, თამაზ მაჭარაშვილი, რაიდ აბრამიშვილი, მერაბ ხუხუა. ეს იყო ქართული საჭიდაო სკოლის უდიდესი წარმატება. მსგავსი შედეგი სამი წლის შემდეგაც გავიმეორეთ.

- საკავშირო ჩემპიონატზე პირველად როდის იჭიდავეთ?

- 1976 წელს, ულიანოვსკში. 52 კილოში გამოვედი, ხუთი ორთაბრძოლა მოვიგე, მეექვსეში შატუნოვთან ქულით

დავმარცხდი და მესამე ადგილზე გავედი. მომდევნო წელს ტრავმის გამო საკავშირო პირველობაზე ვერ ვიჭიდავე. ნაკრებში მოსახვედრად ბულგარეთში პეტროვის სახელობის ტურნირზე გამგზავნეს. ყველა მეტოქე ისე დავამარცხე, ქულაც არავისთვის დამითმია. ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლიმპიური ჩემპიონი ხისამუტიდინოვი მენდო და მსოფლიოს უნივერსიადაზე მაჭიდავა, ისევ ბულგარეთში. მე და თემურ აფხაზავა ჩემპიონები გავხდით.

მოსკოვამდე ევროპაც იყო და მსოფლიოც

- თქვენთვის, ალბათ, ყველაზე ძვირფასი, ოლიმპიური თამაშების მოგება იყო.

- რა თქმა უნდა. მაგრამ 1978 წელიც მინდა გავიხსენო - ევროპაც მოვიგე და მსოფლიოც. რაც შეეხება მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს, იქ მოსახვედრად დიდი გამოცდა გავიარე. ერთი კონკურენტი მყავდა - კამილ ფატკულინი, რომელმაც 1979 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი რაცთან დათმო. იმ წელიწადს ტრავმის გამო არ მიჭიდავია. ამის მიუხედავად, მწვრთნელები პირველ ნომრად მიმიჩნევდნენ, მაგრამ ეს უნდა დამემტკიცებინა. და აი, 1980 წლის მარტში ევროპის ჩემპიონატი გაიმართა ჩეხეთში. ექვსი შეხვედრიდან ექვსივე წმინდად მოვიგე. ფინალში რაცი დავამარცხე. ამის შემდეგ ოლიმპიადაზე ჩემი მოხვედრა სათუო აღარ გამხდარა. ერთმა ფაქტმა მაინც მატკინა გული: მე და თემურ ყაზარაშვილი ერთად ვემზადებოდით 1980 წლის თამაშებისთვის. იგი უკვე ირიცხებოდა ოლიმპიურ გუნდში, რადგან საკონტროლო შეხვედრები 1976 წლის ოლიმპიურ ჩემპიონ უშმაკოვსაც მოუგო. მაშინ საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო კოლოსოვი, წარმოშობით ყაზახეთიდან. მან ყაზარაშვილი ამოაგდებინა შემადგენლობიდან და თანამემამულე ჯაქსალ უშკიმპიროვი ჩასვა. ის კი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. თემურს მისთვისაც მოგებული ჰქონდა საკონტროლო შეხვედრები. დარწმუნებული ვარ, რომ მოსკოვში ყაზარაშვილიც გახდებოდა ოლიმპიური ჩემპიონი... მე კი, ფინალში საჭიდაოდ რომ გავედი, შევნიშნე, რომ უნგრელ ფალავანს მუხლები უცახცახებდა. მივხვდი, რომ გადამწყვეტი ორთაბრძოლა მოგებული მქონდა. მართლაც, 19:1 გავიმარჯვე და ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი. ის ერთადერთი ქულა მეტოქეს მსაჯებმა აჩუქეს - პასიურობისთვის (!) გამაფრთხილეს.



ბეწვზე გადარჩენილი

- ამგვარი ტრიუმფის მიუხედავად, მახსოვს, მაშინ ხიფათს გადაეყარეთ...

-განსაკუთრებული არაფერი მომხდარა: გადამწყვეტი ორთაბრძოლა რომ მოვიგე, სარბიელიდან გამოსვლისას ხალიჩას სამჯერ ვაკოცე და პირჯვარი გადავიწერე.

- და ეს ჟესტი კინაღამ ძვირად დაგიჯდათ...

- ამის გამო ერთი ალიაქოთი ატყდა. ნაკრების მწვრთნელი გენადი საპუნოვი და სპორტკომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელი ნიკოლაი პარხომენკო „ზემოთ“ დაიბარეს და ტყავი გააძრეს. მათ კი უმართლიათ - ბლაგიძე ერთი სოფლელი ბიჭია, ამდენი არ იცის და ყურადღებას ნუ მიაქცევთო. სპორტიდან ჩემს მოკვეთასაც მოითხოვდნენ, თურმე, მაგრამ მწვრთნელებმა გადამარჩინეს. სხვათა შორის, საქართველოს კომკავშირის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ჟიული შარტავამ არაოფიციალურად მიმიღო, გამარჯვება მომილოცა და ბეწვზე ხარ გადარჩენილიო, მითხრა - ისე, პირჯვარს მეც ვიწერ, მაგრამ ამას ვინმეს დასანახავად კი არ ვაკეთებო, დასძინა. ყოველივეს მიუხედავად, ჩემი საქციელი არასდოს მინანია, რადგან ის გამარჯვება უფლის ნებაც იყო.

ის კიდევ ჭიდაობსო? – უკითხავს...

- ამგვარი დავიდარაბის შემდეგ ნაკრებში როგორ მოგიწვიეს - თქვენ ხომ მომდევნო წელს მსოფლიოს ჩემპიონატზეც იჭიდავეთ?

- დიახ. ჯერ საკავშირო პირველობაზე გამოვედი როსტოვში. რადგანაც საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტში ცერად მიყურებდნენ, ნაკრებში სომეხ ბენურ პაშაიანის მიწვევას აპირებდნენ. ჩემს მხარეს იყო ნაკრების მთავარი მწვრთნელი გენადი საპუნოვი. ვინც საკავშირო ჩემპიონატს მოიგებს, მსოფლიოზეც ის წავაო, თქვა, თან შემაგულიანა, რადგან კარგი ურთიერთობა გვქონდა. ფინალში სწორედ მე და ბენური შევხვდით ერთმანეთს. წუთ-ნახევარში 12 ქულა ავართვი და ოქროს მედალი მოვიპოვე. საპუნოვმაც სიტყვა შეასრულა - ზემოდან დიდი წნეხის მიუხედავად, მსოფლიოს ჩემპიონატზე წამიყვანა ნორვეგიაში, სადაც მე და მიხეილ სალაძე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავედით. ექვსი ორთაბრძოლა მოვიგე და ყველას ერთად 6 წუთი მოვანდომე. ფინალში იაპონელს ვძლიე 40 წამში. როდესაც გვაჯილდოებდნენ, უშიშროების ერთ-ერთ მაღალჩინოსანს უთქვამს - ის კიდევ ჭიდაობსო? დიდი სარბიელისკენ გზა გადამიკეტეს, თუმცა საპუნოვმა 1982 წელს კიდევ ერთხელ მიხმო ნაკრებში მსოფლიოს თასზე საასპარეზოდ. მაშინაც ფინალში რაცს მოვუგე. თანაც ბუდაპეშტში - 12:0. ამის შემდეგ საპუნოვმა მითხრა - პირჯვარის გადანერას გაპატიებენ და ნაკრებში დაგაბრუნებენ, საცხოვრებლად მოსკოვში თუ გადმოხვალ და რუსეთის სახელით იჭიდავებო. დაუფიქრებლად უარი ვუთხარი. იმ წელიწადს მსოფლიოზე არ წამიყვანეს. ვიცოდი, რომ გზას არ გამიხსნიდნენ, ამიტომ ჭიდაობის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა და დიდ სპორტს ჩამოვშორდი. ერთი წლის შემდეგ მკლავის ოპერაცია გავიკეთე. იარა წესიერად არც მქონდა მოშუშებული, რომ ჟიული შარტავამ მთხოვა, საქართველოს სჭირდება და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე უნდა გამოხვიდეო. ხათრი ვერ გავუტეხე, ვიჭიდავე და ბრინჯაოს მედალიც ავიღე. მეტი აღარც გავსულვარ ხალიჩაზე.



ვაჟა დანელია

სპორტის დედოფალი დაგვემშვიდობა

თბილისის „ივენთ ჰოლში“ ევროპის მძლეოსნობის გუნდური ჩემპიონატის დახურვის ცერემონია გაიმართა. ღონისძიებაზე დააჯილდოვეს გუნდური ჩემპიონატის პრიზიორები, ასევე ევროპის მძლეოსნობის ფედერაციამ საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ალექსი ახვლედიანი სპეციალური პრიზით დააჯილდოვა.

ცერემონიის დახურვაზე საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ალეკო ახვლედიანი და უცხოელი სტუმრები სიტყვით გამოვიდნენ. შემდეგ კი საზეიმო კონცერტი გაიმართა, რომელშიც „თბილისი 2014-ის“ სახე გვანცა ჯაფარიძე, ნინო ჩხეიძე და სხვები მონაწილეობდნენ. ასევე წარმოდგენილი იყო ქორეოგრაფიული ნომრები, ხოლო საღამო ფოიერვერკით დაგვირგვინდა.

გუნდურ ჩემპიონატში პირველი ადგილი კვიპროსმა დაიკავა, მეორეზე ისლანდია გავიდა, მესამეზე კი ისრაელი. საქართველოს ნაკრები ჩემპიონატზე მეშვიდე ადგილზე გავიდა.

როგორც ჟურნალისტებს ალექსი ახვლედიანმა განუცხადა, ჩემპიონატის მიმართ საკმაოდ მაღალი შეფასებები გაკეთდა.

„კმაყოფილიც ვარ და ბედნიერიც. ძალიან ბევრ ღონისძიებაზე ვარ ნამყოფი და ასეთი მოტივირებული და ორგანიზებული მოხალისეები არ მინახავს. ეს იმედს მაძლევს, რომ 2015 წლის ოლიმპიური ფესტივალი კიდევ უფრო კარგად ჩატარდება, რადგან ჩვენ გვყავს საზოგადოება, რომელიც მოტივირებულია. საკმაოდ მაღალი შეფასებები გაკეთდა და ეს ყველას გამარჯვებაა“, - აღნიშნა ახვლედიანმა.

მისივე თქმით, 2016 წელს თბილისში მძლეოსნობის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი ჩატარდება, რომელიც უფრო მასშტაბური იქნება. მასში მონაწილეობას 50 ქვეყანა მიიღებს.

ევროპის მძლეოსნობის გუნდური ჩემპიონატი, რომელიც თბილისში 21-22 ივნისს გაიმართა, ორ ლოკაციაში მიმდინარეობდა, დინამო არენაზე და მძლეოსნობის ახალ სტადიონზე დიღომში.

ჩემპიონატი სხვადასხვა დისტანციაზე რბენას, ხტომას (ჭოკით ხტომა, სამმაგი ხტომა, სიგრძეზე ხტომა, სიმაღლეზე ხტომა), ტყორცნებს (ურო, ბადრო,შუბი) და ბირთვის კვრას მოიცავს. ჩემპიონატში ევროპის 15 ქვეყანა (მათ შორის საქართველო) და 508 სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას. მას ევროპის ოფიციალური დელეგაცია დაესწრო.

ჩემპიონატის ორგანიზატორი საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის საორგანიზაციო კომიტეტი იყო.

ADAMI.GE
ᲘᲧᲐᲕᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲣᲠᲘ ᲡᲐᲘᲢᲘ



ფოტოპარალელი

კარიკატურა



აი, თურმე...

მარცხენა ფოტოზე გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ თავდამსხმელი თომას მიულერია, მარჯვნივ კი ჰოლანდიის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლიდერი რობინ ვან პერსი.

ჩასაფრებული ობიექტივი

რუსული აგრესია

გამცილებელი

ეს მხიარული გულშემატკივარი მუნდიალიდან გავარდნილ გუნდებს ასე ორიგინალურად ემშვიდობება



1. დემბა ... 2. კასოუს კლეი ანუ მუჰამედ ... 3. აშშ-ის ნაკრების მწვრთნელი 4. ... კატავა 5. ზლატან იბრაჰიმოვიჩი ანუ ... 6. "გიგრის" სტოპერი და კაპიტანი ლაშა ... 7. მამადუ ... 8. განის ნაკრების მეკარე ფატაუ ... 9. ... ჩიმიშკიანი 10. ... რედონდო 11. "რეალისა" და ესპანეთის ნაკრების ექსმცველი ივან ... 12. 1982 წ მსოფლიოს ჩემპიონატის ბომბარდირი 13. ანხელ დი ... 14. "რეალის" ექსსტოპერი და კაპიტანი 15. მსაგუნ არბიტრი ანუ ... 16. ბელგიის ნაკრების ნახევარმცველი მარუან ... 17. საბერნეთის ნაკრების ნახევარმცველი ლაზაროს ... 18. ასურსიონის საფეხბურთო კლუბი 19. ინგლისის ნაკრების სტოპერი გარი ... 20. "ნოტინგემის" შოტლანდიელი მწვრთნელი ალეკს ... 21. "ბალკანს" უნგრელი ფორვარდი ადამ ... 22. ინგლისის ნაკრების ექსბომბარდირი იან ... 23. ინგლისის ნაკრების ექსსტოპერი ... კემბელი 24. გუუს ... 25. სანტა ფეს საფეხბურთო კლუბი 26. არგენტინის ნაკრების ექსნახევარმცველი არიელ ... 27. ... კრუიფი 28. ... ძოფი 29. "არანამდვილი" ანუ ... ბელე 30. "რეალის" მეექვსეული ექსბომბარდირი ... საბრესი 31. არგენტინის ნაკრების ექსმცველი ნესტორ ... 32. ტელე ... 33. ქართველი ექსოლიმპიურთელი ქალი ... მესხი 34. ნოვაკ ჯოკოვიჩი ანუ ... 35. ... მიხელსი 36. "ოუვეს" საანდალური ექსდირექტორი ლეონარდო ... 37. აშშ-ის ნაკრების მეკარე ... ჰოგარდი 38. 2013 წ ფინეთის ჰოკეის ნაკრების მწვრთნელი ოუკა ... 39. "ბალკანს" და იაპონიის ნაკრების მცველი აკეუტო ... 40. ფუზე მოურინიო ანუ ... 41. ნაა-ს ვარსკვლავი კარმელო ... 42. "ლოტუსის" პილოტი რომენ ... 43. ბრაზილიის ნაკრებისა და "ატლეტიკო მადრიდის" ფორვარდი 44. ჩილეს ნაკრებისა და "ოუვეს" ნახევარმცველი არტურო ... 45. საფრანგეთის ლიგა 2-ის საფეხბურთო გუნდი 46. საფრანგეთის ნაკრების ექსნახევარმცველი ფერომ ... 47. არგენტინის ნაკრების ექსფორვარდი კლაუდიო ... 48. ჩინელი ჩოგბურთელი ქალი ... ლი 49. ამერიკელი ველომრბოლელი ... არმსტრონგი 50. "ვაშინგტონის" კალათბურთელი ... ჰილარიო 51. ... მილუტინოვიჩი 52. ესპანეთის ნაკრების მეკარე დავიდ დე ... 53. "... ბალეტა" 54. შვედეთის ნაკრების ექსფორვარდი ... ანდერსონი 55. ბრაზილიელი ნაკრების ექსტოპერი (ლეონეთის მერიდელე) 56. ... მერტეზაკერი 57. ანდრეი შევჩენკო ანუ ... 58. ... კანტონა 59. დისკვალიფიცირებული კანადელი სპორტსმენი ... ჯონსონი 60. პოლონეთის ნაკრების ექსბომბარდირი ... ლიატო 61. მაპარაცალის საფეხბურთო კლუბი

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

ფოტო 1: ბობი ჩარლტონი
ფოტო 2: ამირან ტოტიკაშვილი
ფოტო 3: ვლადიმერ ავციაური

1. საბალეტა 2. ალტობელი 3. ჩელსი 4. ზიზუ 5. ანა 6. იური 7. ტედ 8. რატი 9. როი 10. ბილარდო 11. ამარე 12. ცონგა 13. გროსო 14. კალე 15. ტურ 16. მალხაზ 17. ლინდსი 18. ოტო 19. ტარიელ 20. ტაფარელი 21. გრეგ 22. დირკ 23. ურალანი 24. ანრი 25. ლიატო 26. გია 27. ფრეი 28. ნენე 29. პიტ 30. რუდი 31. ეისი 32. ნორგეი 33. გარაი 34. მარადონა 35. მაია 36. პერსი 37. დიმა 38. კონტი 39. კომპანი 40. ჟენინიო 41. კირილენკო 42. რონ 43. დედე 44. მაზურკევიჩი 45. გოჩა 46. კარდოსო 47. დრაგან 48. პიანჩი 49. ნარიმანიძე 50. აბ 51. ტიმ 52. დინამო 53. აგაზა 54. ლოუ 55. დონატო 56. დანი 57. დუდეკი 58. ადიდასი 59. კაშია 60. კლიჩკო 61. ოლ.

ისტორიანი

საუკეთესო ისტორიების
მთხრობელი ჟურნალი!

ნეიმარი

ISSN 1987-8476